| ტერიტორია C ამოცანა 2 ინვალიდის ელექტრო ეტლის გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაში შენარჩუნების დაფინანსება | ტერიტორია C ამოცანა 3 პროთეზის შეძენა, რომელშიც გამოყენებულია თანამედროვე ტექნოლოგიები | ტერიტორია C ამოცანა 4 პროთეზის გამართული მდგომარეობა, რომელშიც გამოყენებულია თანამედროვე ტექნოლოგიები |
| 2.000 PLN | ამპიტაციის შემთხვევაში:<br>ხელი – 9.000 PLN;<br>მხრის– 20.000 PLN;<br>მხრის და მხრის სახსრის – 26.000 PLN;<br>წვივის – 14.000 PLN;<br>ბარძაყის არეში– 20.000 PLN;<br>ბარძაყი და ბარძაყის სახსრის – 25.000 PLN,;<br>დაფინანსების თანხის გაზრდის საშუალება პროთეზის ხარისხის IV დონემდე– ექსპორტის | ამპიტაციის შემთხვევაში:<br>ხელი – 2.700 PLN;<br>მხრის – 6.000 PLN;<br>მხრის და მხრის სახსრის– 7.800 PLN;<br>წვივის – 4.200 PLN;<br>ბარძაყის არეში– 6.000 PLN;<br>ბარძაყი და ბარძაყის სახსრის – 7.500 PLN;<br>დაფინანსების თანხის გაზრდის საშუალება პროთეზის ხარისხის IV დონემდე – ექსპორტის |

<table>
<tr><th>ორგანიზაცია</th><th>შენიშვნები</th><th>კომენტარი, განმარტება</th></tr>
<tr><td></td><td></td><td>
<table>
<tr><td></td><td>დასკვნის საფუძველზე PFRON ექსპერტამდე ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება PFRON – არაუმეტეს 200 PLN</td><td>დასკვნის საფუძველზე PFRON, ექსპერტამდე ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება PFRON – არაუმეტეს 200 PLN</td></tr>
</table>
გადაწყვეტილებას განმცხადებლისთვის დახმარების ოდენობის შესახებ მიიღებს პროგრამის რეალიზატორი (პოწიატის თვითმმართველობა), რომელიც ითვალისწინებს დაფინანსების ოდენობის დიფერენციაციას.<br>
შშმპ მინიმალური წვლილი
<table>
<tr><td>ტერიტორია A ამოცანა 1 - საკუთრებაში არსებული მანქანაში აღჭურვილობის შეძენა/მონტაჟი</td><td>ტერიტორია B ამოცანა 1 - ელექტრონული ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა</td><td>ტერიტორია C ამოცანა 1 - ინვალიდის ელექტრო ეტლის შეძენა</td></tr>
<tr><td>15%</td><td>10%</td><td>10%</td></tr>
<tr><td>ტერიტორია C ამოცანა 2 - ინვალიდის ელექტრო ეტლის გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაში შენარჩუნების დაფინანსება</td><td>ტერიტორია C ამოცანა 3- პროთეზის შეძენა, რომელშიც გამოყენებულია თანამედროვე ტექნოლოგიები</td><td>ტერიტორია C ამოცანა 4 - პროთეზის გამართული მდგომარეობა, რომელშიც გამოყენებულია თანამედროვე ტექნოლოგიები</td></tr>
<tr><td>x</td><td>10%</td><td>10%</td></tr>
</table>
</td></tr>
<tr><td>ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი – პოლონეთის ყრუთა ასოციაცია</td><td>პუნქტი 198 (ამჟამად: 235): ცვლილებები დებულებებში მართვის მოწმობასთან დაკავშირებით - ამჟამად ეს არის პოლონური ენის ტესტი და არა მართვის წესების ტესტი). სმენის შემოწმების ვალდებულების მოხსნა მართვის მოწმობის მიღებისას.</td><td>ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო:<br>
გამოკვლევების ჩატარების საკითხს არეგულირებს ჯანდაცვის მინისტრის 2004 წ. 7 იანვრის განკარგულება მძღოლების და პირების რომლებიც ცდილობე მიიღონ მაღთვის მოწმობა, სამედიცინო გამოკვლევების შესახებ. განკარგულება შეესაბამება 2006/126/WE დირექტივას მართვის მოწმობის შესახებ. დირექტივა ითვალისწინებს, რომ მართვის მოწმობები გაეცემა კანდიდატებს, რომლებმაც ჩააბარეს თეორიული და პრაქტიკული გამოცდა, დადაებითად გაიარეს სამედიცინო გამოკვლევები, II და III დანართების დებულებების თანახმად. დირექტივის III დანართის თანახმად სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდებათ მძღოლების 2 ჯგუფს:<br><br>
– ჯგუფი 1: მძღოლები კატეგორიის: A, A1, A2, AM, B, B1 i BE,<br>
– ჯგუფი 2 : მძღოლები კატეგორიის: C, CE, C1, C1E, D, DE, D1 i D1E.<br>
2 ჯგუფის მძღოლებისთვის, მართვის მოწმობის გაცემას ან ვადის გაგრძელებას</td></tr>
</table>

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | უნდა უტარდეს სმენის აპარატის სამედიცინო გამოკვლევა. 1 ჯგუფის მძღოლებისთვის ეს გამოკვლევა არ არის საჭირო. |
| ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის ფონდი | პუნქტი 199-200 (ამჟამად: 236-238): დოკუმენტში რომელიც ეხება შშმ პირთა მიერ ვარშავის ტერიტორიაზე ფასიანი პარკინგის ზონაში პრაკირების პირობებს, რომელიც მიმართული იყო ვარშავის საბჭოს თავმჯდომარესთან, ჰაუდფ მიმართა „N+” კარტის გაცემის პირობების განმარტების თხოვნით, რომელიც იძლევა უფასო პარკირების საშუალებას ვარშავის პარკირების ფასიან ზონაში[3]. კარტა „N+” შეიძლება იყოს გაცემული, ვარშავის საბჭოს[4] მიერ დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სატვირთო მანქანაზე თუ მისი წონა არ აღემატება 2,5 ტონას. ხოლო მსუბუქი ავტომობილის მფლობელმა შეიძლება მიმართოს „N+” კარტის გაცემაზე ავტომობილის წონის მიუხედავად, სადაც მსუბუქი ავტომობილი შეიძლება იყოს სატვირთო ავტომობილზე მძიმე. | **ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო:**<br>მოქმედი დაბულებებიდან გამომდინარეობს საერთო პრინციპი საჯარო გზებზე პარკინგის გადასახადის ფასიანი პარკირების ზონაში (კანონი საჯარო გზების შესახებ). კანონმდებელმა კომპეტენცია თუ ვინ დადგენს ფასიანი პარკირების ზონას და პარკირების გადასახადის ოდენობას საჯარო გზებზე, დაუტოვა ტერიტორიული თვიტმმართველობის ორგანოებს - გმინის//ქალაქის საბჭოს. ამ კომპეტენციების ფარგლებში თვითმმართველობას შეუძლია შემოიღოს სააბონენტო გადასახადი ან ერთჯერადი გადასახადი, ან თუნდაც ნულოვანი გადასახარი გზების ზოგიერთი მომხმარებლებისთვის. კანონმდებელმა არ დაადგინა თუ გზების რომელმა მომხმარებელმა უნდა ისარგებლოს შეღავათებით პარკირების გადასახადში. ფასიანი პარკირების ზონის შემოღების საჭიროება და მიზანშეწონილობა შეფასება უნდა მოხრეს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ. სამინისტრო არ აწარმოებს მუშაობა დებულებების შეცვლაზე პარკირების გადასახადიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით.<br>საჯარო გზების შესახებ კანონის საბუძველზე საგზაო მოძრაობის მმართველი ორგანო, გზის ადმინისტრატორთან შეთანხმებით, განსაზღვრავს ფასიანი პარკირების ზონას, მათ შორის ადგილებს რომლებიც განკუთვნილია მანქანების პარკირებისთვის, რომლებიც კონსტრუქციით გათვალისცინებულია შშმპ ტრანსპორტირებისთვის ან მანქანებისთვის რომლებიც აღჭურვილია პარკინგის ბარათით. ქალაქის (გმინის) საბჭოს ფასიანი პარკირების ზონის განსაზღვრის დროს შეუძლია დააწესოს ნულოვანი გადასახადი გზების ზოგიერთი მომხმარებლისთვის - მათ შორის შშმპ რომლებსაც აქვთ პარკინგის ბარათი. ამგვარად შშმპ შეუძლიათ უბასოდ გააჩერონ მანქანა მხოლოდ მათთვის განკუთვნილ ადგილებში, თუ მათთვის დაწესებულია ნულოვანი გადასახადი. ბარათის მფლობელობა არ აძლევს შშმპ უფლებას, არ დაემმორჩილოს საგზაო ნიშანს D-44 და არ გადაიხადოს პარკირების საფასური ფასიანი პარკირების |

[3] 2013 წ. 4 ნოემბრის წერილი (1112/2013/ART.32/DP/JJA)

[4] ვარშავის საკრებულოს რეზოლუცია nr XXXVI/1077/2008, 2008 წ. 26 ივნისი.

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | „N+" კარტის მიღების შესაძლებლობის აღკვეთა, თუ მანქანის წონა 2,5 ტონას აღემატება, იწვევს არადისკრიმინაციის პრინციპების დარღვევას. მანქანის წონის კრიტერიუმის თვითნებური დაარსება გვაჩვენებს, რომ არი არის გათვალისწინებული შშმპგანსაკუთრებული მოთხოვნები (მაგ. დიდი და კომფორტული მანქანის საჭიროება), აგრეთვე ამ პირის მიერ ბიზნესის წარმოების ფაქტი. | ზონაში.<br>2013წ. 23 ოქტომბრის კანონმა საგზაო მოძრაობის წესების შესახებ და სხვა ზოგიერთმა კანონმა შეცვალეს პარკინგის ბარათის გაცემის პრინციპი. დებულებები პარკინგის ბარათის გაცემის შესახემ ძალაში შედის 2014 წ. 1 ივლისს. |
| ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის ფონდი<br>ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი | პუნქტი 209 (ამჟამად: 248): საჯარო ადმინისტრაციის ორგანო ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება, რომელიც იძლევა კომუნიკაციის საშუალებას, მათ შორის ინტერნეტ საიტები შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობის სტანდარტების შესაბამისად.<br>სახალხო დამცველის ბიუროს მიერ 2010 წ. შატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ საჯარო გამოკვლეული დაწესებულებების ინტერნეტ საიტებიდან 20% არის ხელმისაწვდომი უსინათლო პირებისთვის. | **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო:**<br>ინფორმაცია ვებგვერდების ხელმისაწვდომობის შესახებ მოცულია 217-218 პუნქტ. (ამჟამად 257-260).<br>შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრომ (მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შშმპ საკითხებში) 2014 წ. 5 თებერვალს მიმართა ყველა მინისტრს თავიანთი რესორტების ინტერნეტ საიტების ხელმისაწვდომობის მონიტორინგის ჩასატარებლად და შეახსენა საჯარო ვალდობულებების შემსრულებელ ორგანოებზე ინტერნეტ სერვისების საერთაშორისო სტანდარტებთან WCAG 2.0 (მინისტრთა საბჭოს განკარგულება ინტეროპერაციული ეროვნული ჩარჩოების, სამინისტროების მიმართ მინიმალური მოთხოვნების და ელექტრონული ფორმით ინფორმაციის გაცვლის აგრეთვე ტელეინფორმატიული სისტემების მინიმალური მოთხოვნების შესახებ).<br>აღნიშნული იყო, რომ შშმპ საკითხებში მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელის ვებ გვერდზე არის ორი სახელმძღვანელო რომელიც ეხება ინტერნეტ სერვისების ხელმისაწვდომობას.<br>BON-ის საიტზე (ბმული „Publikacje") არის ორი სახელმძღვანელო რომელიც ეხება |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | 22 მუხ.: ინფორმაციისა და კომუნიკაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის არარსებობა - რაპორტი საჭიროა შეივსოს მინიმუმ კანონით დაკისრებული ვალდებულებებით საჯარო დავალებების შემსრულებელი დაწესებულების მოქმედებების ინფორმატიზაციის შესახებ. | ინტერნეტ სერვისების ხელმისაწვდომობას, რომლებიც გამოსადეგია ამ საკითხის უკეთ გასაგებად, ისევე როგორც პროგრამისთებისთვის ასევე რედაქტორებისთვის რომლებიც აქვეყნებენ შინაარსს ინტერნეტში.<br>PFRON-ი ინტეგრაციის მეგობრების გაერთიანებასთან პარტნიორობით, პროექტი "შშმპ მხარდაჭერა ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციისა და მომსახურებების თავისუფალი ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა II" ფარგლებში, უზრუნველყო ორი უფასო e-learning-ული ტრენინგი სერვისების პროგრამისტებისთვის და რედაქტორებისთვის, რომელიც განმარტავს ინტერნეტ სერვისების ხელმისაწვდომობის საკითხს და ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სტანდარტებს WCAG 2.0. ტრენინგი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.edukacja.pfron.org.pl/ .<br>**ადმინისტრაციისა და დიგიტალიზაციის სამინისტრო:**<br>მუშაობა ინტერნეტ საიტების ხელმისაწვდომობისთვის ამჟამად არ ხორციელდება. მინისტრთა საბჭოს მოქმედი განკარგულება ინტეროპერაციული ეროვნული ჩარჩოების, სამინისტროების მიმართ მინიმალური მოთხოვნების და ელექტრონული ფორმით ინფორმაციის გაცვლის აგრეთვე ტელეინფორმატიული სისტემების მინიმალური მოთხოვნების შესახებ 19§ ახსენებს, რომ:"ტელეინფორმატულ სისტემაში სუბიექტი, რომელიც რეალიზებას უწევს საჯარო ამოცანებს, რომლებიც ემსახურება საინფორმაციოუ რესურსების პრეზენტაციას საჭიროა უზრუნველყოს ამ სისტემის მიერ Web Content Accessibility Guidelines (WCAG2.0)-ს მოთხოვნები, AA დონის გათვალისწინებით, რომელიც მითითებულია განკარგულების №4 დანართში" . |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი – პოლონეთის ყრუთა ასოციაცია | პუნქტი 209-210 (ამჟამად: 248-249): ჟესტური ენის შესახებ კანონში ნახსენები პრინციპები შედის ძალაში ძალიან ნელა.<br>საჭიროა ჟესტური ენის თარჯიმნების on-line გამოყენების გავრცელება, იმისათვის რომ არ | **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო :**<br>მოქმედებები, რომლებზეც საუბარია შენიშვნაში, ეტევა შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრის განკარგულებაში არსებულ დავალებათა კატალოგში, რომელიც ეხება ამოცანებს, რომლებიც ევალებათ ფონდებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შშმპ პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის ფარგლებში. რასთან დაკავშირებით მათი რეალიზება შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს. |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
| --- | --- | --- |
| | იყოს აუცილებელი სამმართველოს ინფორმირება სამი დღით ადრე თარჯიმნის დახმარებით სარგემლობის შესახებ.<br>სამმართველოები ძალიან რთულად ასრულებენ ყრუ პირის მომსახურების შესახებ.<br>ინფორმაცია მოწოდებულია გაუგებარ ენაზე და არის ძალიან ღრმად" ინტერნეტ საიტებზე, რაც მოითხოვს მრავალჯერ მორიგი არაინტუიციური საიტების არჩევა.<br>საჭიროა პოლონურ ჟესტურ ენაზე ინფორმაციის მიწოდების გავრცელება. | ჟესტური ენის და სხვა კომუნიკაციის საშუალებების შესახებ კანონის ცვლილების მითითებული საჭიროება იქნება გაანალიზებული |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი – პოლონეთის ყრუთა ასოციაცია | პუნქტი 209-210 (ამჟამად: 248-249): მნიშვნელოვანი ნაწილი თვითმმართველობებისა და PCPR (პოვიატის ოჯახის დახმარების ცენტრი)- მნიშვნელოვანი ნაწილი არ ითვალისწინებს შესაძლებლობას მოითხოვონ თარჯიმნის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.<br>PCPR (პოვიატის ოჯახის დახმარების ცენტრი)-ს ნაწილი ითხოვს თარჯიმნებისგან ინდმეწარმეობას, და ითხოვს მომსახურების ფაქტურას ან | **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო :**<br>ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურების ხარჯების დაფინანსების საკითხები მითითებულია შშმპ პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის და დასაქმების შესახებ კანონში და შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრის განკარგულებაში პოვიატის ამოცანების სახის განსაზღვრის შესახებ, რომლებიც შეიძლება იყოს დაფინანსებული PFRON-ის სახსრებით. დაფინანსება არ არის ობლიგატორიული. დაფინანსების საფუძველს წარმოადგენს კონტრაქტი დადებული სტაროსტასა და შშმ პირს შორის. კონტრაქტში აგრეთვე განსაზღვრულია გაანგარიშების წესი.<br>დებულებები არ მიუთითებენ იმაზე, რომ საჭიროა თარჯიმნის მიერ ეკონომიკური საქმიანობის წრმოება, რასაც ყოველთვის ხაზს უსმევს BON იმ შემთხვევაში თუ პოვიატებს, რომლებიც რეალიზაბას უწევენ ამ ამოცანას და ბენეფიაციარებს გაუჩნდათ ამის ეჭვი. |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | ანგარიშს, და არა კონტრაქტს და სხვის მიერ გამოწერილ ფაქტურას ან ანგარიშს. | |
| ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის ფონდი | პუნქტი 223-230 (ამჟამად: 263-271): სახალხო დამცველის შეფასების მიხედვით[5] აუცილებელია ზუსტი დადგენა ტელევიზიის მაუწყებლების მოვალეობების დადგენა მხედველობის და სმენის შშმ პირთათვის. ეჭვს იწვევს ეროვნული რადიოსა და ტელევიზიის საბჭოსთვის შესაძლებლობა თვითნებურად გადაწყვიტოს ინდივიდუალურ პროგრამებზე მოთხოვნების შემცირების შესახებ. ეს ნებართვა ეროვნული რადიოსა და ტელევიზიის საბჭოსთვის ტოლფასია კანონის დებულებების შეცვლასთან. | **კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო** (MKiDN):<br>კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო არ იზიარებს ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის ფონდის შენიშვნებში არსებულ ეჭვს. არ შეიძლება თქმა, რომ რადიო და ტელევიზიის ეროვნული საბჭო - სახელმწიფო ადმინისტრაციის დამოუკიდებლად, კონსტიტუციურად უფლებამოსილის მედიების დარგში მარეგულირებელი ორგანო - არბიტრალურად გასცემს აღმასრულებელ განკარგულებას რადიო და ტელევიზიის შესახებ კანონთან დაკავშირებით. ეროვნული საბჭოს განკარგულებები (მათ შორის, განკარგულებები, რომლებშიც შშმ პირებისთვის სათანადო აუდიციები ნეკლებად არის დახსენები) გაიცემა ნორმატიული ნებართვების საფუძველზე.  ნორმატიული უფლებამოსილება შეიცავს კონკრეტულ და მკაფიო ინსტრუქციებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს ორგნომ თავისიგანკარგულების გაცემისას. ეს სწორი და ფართოდ გამოყენებული საკანონმდებლო პროცედურაა. ეროვნული საბჭი განკარგულების პროექტს ყოველჯერ წარადგენს სოციალურ კონსულტაციებისთვის. ამგვარად საზოგადო და არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ საშუალება წარადგინონ პროექტზე შეიშვნები და მოსაზრებები. ეროვნული საბჭო პასუხისმგებელია იმაში, თუ როგორ განხორციელდება კანონის დებულებები, განსაკუთრებით აკონტროლებს, თუ როგორ ასრულებენ მოვალეობებს მედია სევისების მიმწოდებლები. კანონის დებულებების შესრულების ერთ ერთი ელემენტი პრაქტიკაში არის დაეთმოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი განკარგულებების გაცემა, რაშიც ის უფლებამოსიკია კანონის მრავალი დებულებების საფუძველზე.<br>რადიო და ტელევიზიის შესახებ კანონის ნოველიზაციის ფარგლებში 2011წ. (აუდიოვიზუალური მედია სერვისების დირექტივის იმპლემენტაცია) მედია |

[5] 2013 წ. 22 ივლისი სახალხო დამცველის მიმართვა კულტურის მინისტრთან (RPO/715848/12/I/109 RZ)

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | მაუწყებლებს დაედოთ ვალდებულება უზრუნველყონ ი , რომ მათ მიერ მიწოდებული სერვისები თანდათანობით გახდეს ხელმისაწვდომი მხედველობა დაქვეითებული შშმ პირებისთვის და სმენა დაქვეითებული შშმ პირებისთვის. ეს ვალდებულება მდგომარეობს მაუწყებლების დავალდებულებაში, რომ პროგრამების მინიმუმ 10%, რეკლამების და ტელემაღაზიების გარდა, ჰქონდეთ აუდიო აღწერა, ტიტრებიდა ტარგმანი ჟესტურ ენაზე. ჩამოტვლილი საშუალებები არ უნდა იყოს - MKiDN-ს საშუალებების ნაწილი. დაბადებიდან ყრუ და სმენა დაქვეითებული პირებისვის ჟესტური ენა არის პირველი და ყველა მათგანმა არ იცის პოლონური ენის კითხვა. ამგვარად ყოველი ჩამოთვლილი საშუალება არის მიმართული სხვადასხვა მომხმარებლისთვის. ამასთან დაკავშირებით შემოთავაზებული10% უნდა იყოს პროპორციული ყოვოლ ჯგუფისთვის. ამ გზით მათ სურდათ თავიდან აეცილებინათ მაუწყებლის მიერ ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად ღირებული ტექნიკის გამოყენება და ამით შეესრულებინათ კონონით დაწესებული ვალდებულება. მსგავსი დებულებები ვრცელდება შეკვეთით მომსახურებებზე, რომლებშიც მომხმარებელი წყვიტავს, როგორ აუდიციას უყუროს. კანონის თანახმად ამგვარი სერვისების მიმწოდებლებიც არიან ვალდებული ეტაპობრივად დანერგონ გაადვილებები შშმპ.<br>კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მიმდინარეობს რადიო და ტელევიზიის შესახებ კანონის განხილვა, დებულებების შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით. ამ განხილვის ნაწილია აგრეთვე დებულებები რომებიც ეხება შშმპ. დაგეგმილია, სხვა საკითხებთან ერთად, შშმპ განკუთვნილი აუდიციების რაოდენობის პროცენტული წილის გაზრდა.<br>**შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო :**<br>იმფორმაციას მიმოხილვის შესახებ შეიცავს ანგარიში (264 პუნქტ.).<br>**რადიო და სატელევიზიუო ეროვნული საბჭო (KRRiT):**<br>KRRiT "2012წ. რადიო და ტელევიზიის ძირითადი პრობლემების შესახებ ინფორმაციაში" გამოვიდა წინადადებით, სატელევიზიო მაუწყებლების, შშმ პირთათვის (რომლებთაც დაკვეითებული აქვთ სმენის აპარატი და მხედველობის აპარატი) გაადვილებების რეალიზების  ვალდებულებების ზუსტ განსაზღვრასთან დაკავშირებით. |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
| --- | --- | --- |
| | | რაც შეეხება KRRiT-ისუფლებამოსილებას ამ ფარგლებში მოთხოვნების დაწევაში, ეს კანონმდებლობის დებულებაა, რომელიც კანონმდებელის პასუხისმგებლობაშია. KRRiT-ს არ აქვს ლეგისლაციური ინიციატივის უფლება, ასე რომ ყველა ცვლილება შეიძლება მოხდეს მხოლოდ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ინიციატივით.<br>KRRiT მიაჩნია, რომ აუცილებელია შეღავათბის გამოყენების არსებული შესაძლებლობების, რომლებიც ეხება შშმ პირებისთვის გაადვილებებს შენარჩუნება ლოკალური, საზოგადო და თუ ამგვარი სტატუსი იქნება დწესებული - აგრეთვე თემატური მაუწყებლების შემთხვევაში. |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი – პოლონეთის ყრუთა ასოციაცია | პუნქტი 223-228 (ამჟამად: 263-269): საეთერო დროის რეოდენობა ჟესტური ენის თარჯიმნით და/ან ტიტრებით არ არის საკმარისი; საბოლოო ჯამში ეს რაოდენობა გაზრდილი უნდა იქნეს 90%-ით. | **რადიო და სატელევიზიუო ეროვნული საბჭო:**<br>აუდიოვიზუალური მედია სერვისების შესახებ დირექტივის 6 მუხ. თანახმად და KRRiT დოკუმენტის თანახმად "იმფორმაცია დარიო და სატელევიზიო ძირითადი პრობლემების შესახბ 2012 წ.", აგრეთვე პროექტი " KRRiT რეგულაციული სტრატეგიის 2014-2016 წ." (ამჟამად საზოგადო კონსულტაციების ფაზაში), ეროვნული საბჭო მხარს უჭერს მოტხოვნას რომელიც ეხება საკანონმდებლო ცვლილებებს რომელიც თანდათანობით ზრდის სატელევიზიო მაუწყებლების ვალდებულებებს ადაპტირება დაუწიოს სენსორული შესაძლებლობების შედღუდული პირებისთვის ამჟამინდელი 10% დან 50%-ის ჩატვლით 2020 წ. ამგვარად წარმოდგენილი მიზანი ჩანს დაბალანსებული და რეალური, თუ გავითვალისწინებთ, ერთის მხრიც შშმპ ლეგიტიმური საჭიროებები, მეორეს მხრივ, მაუწყებლების სიტუაცია ბაზარზე და მათი ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობები. |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი | პუნქტი 231 (obecnie 272): კომერციული საწარმოების მიერ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შექმნის პრინციბების არარსებპბა, მათ შორის საერთო ხასიათის სერვისების (ტელესაკომუნიკაციო სერვისები, მედია, საბანკო, | **ადმინისტრაციის და დიგიტალიზაციის სამინისტრო:**<br>მიღებულია ზემები იმისათვის რომ უზრუნველყოს საჯაროდ ხელმისწვდომი სატელეფონო მომსახურების პროვიდერების ინტერნეტ გვერდების ხელმისაწვდომობა. 2014 წ. 26 მარტს გაიცა განკარგულება ადმინისტრაციისადა დიგიტალიზაციის მინისთრის მიერ, საჯაროდ ხელმისწვდომი სატელეფონო მომსახურების პროვიდერების მიერ შშმპ გაადვილებების მიწოდების დაწვრილებითი პირობების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ვებ გვერდების |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
| --- | --- | --- |
| | საფინანსო, სადაზღვეო და სხვ.). | ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებლობას (ამ საიტების ადაპრიტება Web Content Accessibility Guidelines 2.0 სტანდარტებამდე).<br>**შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო :**<br>ინფორმაციას მოქმედებების შესახებ შეიცავს ანგარიში (274 პუნქტ.). |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი | პუნქტი 269-271 (ამჟამად: 315-317): ექიმები რომელთა პაციენტები არიან ეტლით მოსიარულე ქალები აჭიარებენ, რომ ისინი არ ეწევიან სექსუალურ ცქოვრებას, არ არის მხარდაჭერა და ინფორმაციული პროგრამა შშმ ქალის ორსულობის და მშოობიარობის შესახებ<br>პუნქტი 339-340 (ამჟამად: 390-391):<br>- შშმ ქალების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის არარსებობა, ექიმებს არ გააჩნიათ ზოგადი ინფორმაცია სხვადასხვა სახის შშმ ქალის სპეციფიური საჭიროებების შესახებ,<br>- შშმ ქალების სტერეოტიპები განსაკუთრებით მწვავეა პროფილაქტიკის სფეროში, შესაბამისად სამედიცინო პერსონელის კომპეტენციის არქონის და სამედიცინო დაწესებულებების მოუმზადებლობის ეფექტი არის ის რომ შშმ ქალი ხშირ შემთხვევაში ექიმს მიმართავ | **ჯანდაცვის სამინისტრო:**<br>ჯანდაცვის მინისტრი ატარებს სამუშაოებს, რომელთა მიზანია საჯარო სახსრებიდან დაფინანსებული ჯანდაცვის მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის გაზრდა. მოქმედების საფუძველს შეადგენს კანონი საჯარო სახსრებიდან დაფინანსებული ჯანდაცვის მომსახურების შესახებ. ჯანდაცვის მომსახურებები კლასიფიცირებულია როგორც გარანტირებული მომსახურება, რომელიც დაფინანსებულია საჯარო სახსრებიდან, საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის ფარგლებში. იგი ეკუთვნის ყველა მომხმარებელს, მათ შორის შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირებს, რომლებისათვის განკუთვნილია მოცემული სახის მკურნალობა.<br>ორსული, მშობიარე და მელოგინე ქალები იმყოფებიან განსაკუთრებული იურიდიული დაცვის ქვეშ. კონსტიტუციის მიხედვით, საჯარო ხელსუფლების ვალდებულებაა უზრუნველყონ ბავშვები, ორსული ქალები, შეზღუდ. შესაძლებლობის მქონე და ხანში შესული პირები განსაკუთრებული ჯანდაცვით. საჯარო სახსრებიდან დაფინანსებული ჯანდაცვის მომსახურების შესახებ კანონის მიხედვით ამ ტიპის ჯანდაცვის მომსახურებისადმი უფლება აქვთ ქალებს ორსულობის, მშობიარობის და ლოგინობის პერიოდში, რომლებსაც გააჩნიათ პოლონური მოქალაქეობა და საცხოვრებელი ადგილი პოლონეთში მიუხედავად იმისა, ექვემდებარებიან თუ არა ჯანმრთელობის დაზღვევას. ორსულობის, მშობიარობის და ლოგინობის პერიოდში მყოფი ქალების მოვლის წესებთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებს აწესებს ჯანმრთელობის მინისტრის განკარგულებები:<br>- ძირითადი ჯანდაცვის ფარგლებში გარანტირებულ მომსახურების შესახებ,<br>- 29 აგვისტოს 2009 წ., საავადმყოფოშო მკურნალობის ფარგლებში გარანტირებული მომსახურების შესახებ,<br>- 27 მაისის 2011 წ., სპეციალიზირებული ამბოლატორიული მომსახურების |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | დაავადების მწვავე ეტაპზე, ყველაზე რთულ სიტუაციაში არიან ქალები რომლებიც ცხოვრობენ პატარა ქალაქებსა და სოფლებში, სადაც სამედიცინო დაცვის შელმისაწვდომობა ხშირად ძალიან შეზღუდულია. | ფარგლებში გარანტირებული მოსახურების შესახებ,<br>- ჯანმრთელობის პროგრამების ფარგლებში გარანტირებული მოსახურების შესახებ,<br>- სტომატოლოგიურ მკურნალობის ფარგლებში გარანტირებული მოსახურების შესახებ.<br>19 ოქტომბერს 2012 წ., ძალაში შევიდა ჯანდაცვის მინისტრის განკარგულება, 20 სექტემბრის 2012 წ. ფიზიოლოგიური ორსულლობის, ფიზიოლოგიური მშობიარობის, ლოგინობის და ჩვილის მოვლის დროს პერინატალური მოვლის ფარგლებში ჯანდაცვის მომსახურებისას სამედიცინო პროცედურების სტანდარტების შესახებ. ეს განკარგულება (ანალოგიურად, ჯანდაცვის მინისტრის, 23 სექტემბრის 2010 წ. წინა განკარგულებისა ფიზიოლოგიური ორსულლობის, ფიზიოლოგიური მშობიარობის, ლოგინობის და ჩვილის მოვლის დროს პერინატალური მოვლის ფარგლებში ჯანდაცვის მომსახურებისას სამედიცინო პროცედურების სტანდარტების შესახებ), განსაზღვრავს ფიზიოლოგიურ ორსულლობის, ფიზიოლოგიური მშობიარობის, ლოგინობის და ჩვილის მოვლის დროს პერინატალური მოვლის ფარგლებში ჯანდაცვის მომსახურებისას სამედიცინო პროცედურების სტანდარტებს. სტანდარტები ითვალისწინებენ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) დირექტივებს, მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაყრდნობილ სამედიცინო მიღწევებს და პოლონეთის გამოცდილებას დედა-შვილის მოვლის ფარგლებში. ეს სტანდარტები შეთავსებულ იქნა პოლონეთში მოქმედი ჯანდაცვის სისტემასთან, განსაკუთრებულად პაციენტის უფლებების გათვალისწინებით, რომლებიც ნახსენებია პაციენტის უფლებების და პაციენტის უფლებების დამცველის შესახებ კანონში.<br>ახალ განკარგულებაში, სხვათა შორის, მშობიარობამდე მოვლის და მშობიარობის გეგმაში შეყვანილ იქნა ორსული ქალის პრენეტალურ გამოკვლევების პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა, რომელიც განხორციელებულია ჯანდაცვის მინისტრის, ჯანდაცვის მომსახურების ფარგლებში გარანტირებული მომსახურების შესახებ განკარგულების საფუძველზე. დაზუსტებული იქნა წესები ჩვილის კვებისა და ლაქტაციის, დედისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარების და ამ ინსტრუქტაჟის ფარგლებისა და ლაქტაციის პროცესის მეთვალყურეოზა, ჩვილის ძუძუთი სწორედ |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | კვებისა და ძუძუთი კვების ეფექტურობის შეფასების შესახებ. იმ შენიშვნის შესახებ, რომ არ არსებობს მხადაჭერა და საინფორმაციო პროგრამები შეზღუდ. შესაძლ. მქონე ორსული და მელოგინე ქალებისთვის: არ არის დაგეგმილი არავითარი სხვა მოქმედებები, შეზღუდ. შესაძლ. მქონე ქალებისთვის გინეკოლოგიური-სამეანო მოვლის უზრუნველყოფის მიზნით, მათ გარდა რაც უკვე არის ხელმისაწვდომი ჯანმრთელი ქალებისთვის. ესეთი მოქმედებები შეიძლება ჩაითვალოს როგორც დისკრიმინაცია.<br>შეზღუდულობის ფაქტი არ არის განსაკუთრებული წინაპირობა „გინეკოლოგიური მოვლის ფარგლებში შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა სპეციფიკური მოთხოვნილებების" არსებობისა. როგორც ჯანმრთელ, აგრეთვე შეზღუდ. შესაძლ. მქონე ქალებს უფლება აქვთ ამ ფარგლებში ისარგებლონ ზრუნვის სრული პაკეტით. გარდა ამისა, ჯანდაცვის მინისტრის, 4 ოქტომბრის 2012 წ. ფიზიოლოგიური ორსულობის, ფიზიოლოგიური მშობიარობის, ლოგინობის და ჩვილის მოვლის, „მშობიარობამდე მოვლა და მშობიარობის გეგმები შეიძლება იყოს შეცვლილი ორსული ქალის მოვლის დროს ჯანმრთელობის სიტუაციის შესაბამისად" და ლოგინობის დროს პერინატალური მოვლის ფარგლებში ჯანდაცვის მომსახურებისას სამედიცინო პროცედურების და მოქმედების სტანდარტების შესახებ განკარგულების თანახმად, ყველა ქალი უზრუნველყოფილია პროფესიონალური ზრუნვით საცხოვრებელ ან მდებარეობის ადგილზე.<br>შენიშვნას, რომ „ინვალიდის ეტლზე მოძრავი ქალების მკურნალი ექიმები თვლიან, რომ ისინი არ ეწევიან სექსუალურ ცხოვრებას", რომელიც ფონდის რეგიონალური განვითარების ინსტიტუტის  მიერ იყო შეტანილი, შინაგანად არაერთობლივი და პოლემიკური ხასიათი აქვს. ამ განცხადებიდან გამომდინარეობს შეზღუდ. შესაძლ. მქონე ორსული და მელოგინე ქალების მხარდაჭერის და საინფორმაციო პროგრამების მოთხოვნილება. უნდა აღინიშნოს, რომ ორსულობის ფაქტი არის სექსუალურად აქტიურობის დამადასტურებელი აშკარა ნიშანი, რომელსაც ვერ უარყოფს ვერცერთი ექიმი. სავარაუდოა, რომ ეს შენიშვნა არ იქნა გაანალიზებული ან მისმა ზოგადმა ხასიათმა შეცვალა მისივე მნიშვნელობა და არსი. განაცხადი რომ, „ინვალიდის ეტლზე მოძრავი ქალების |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
| --- | --- | --- |
| | | მკურნალი ექიმები თვლიან, რომ ისინი არ ეწევიან სექსუალურ ცხოვრებას“, შეიძლება მეტყველებდეს იმ პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის და მოთხოვნილებების არასწორ შეფასებაზე, რომლებიც ხმარობენ ინვალიდის ეტლს. ესეთი სიტუაციები შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე შემთხვევითად, და ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია სწორედ ჩატარებული სამედიცინო ისტორია. ამ მიზნით არ არის საჭირო სპეციალური პროგრამები. სამედიცინო ისტორია არის დიაგნოზის ერთერთი მთავარი ელემენტი.<br>განათლების სტანდარტები სამედიცინო ფაკულტეტზე განსაზღვრულია მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების მინისტრის, 9 მაისის 2012 წ., უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტებისთვის: საექიმო, საექიმო-დენტისტის, ფარმაკოლოგიის, საექთნო-სამეანო, სწავლების სტანდარტების შესახებ განკარგულებაში, რომელიც განსაზღვრავს ცოდნას და უნარიანობას, რომელსაც უნდა ფლობდეს საექიმო ფაკულტეტის კურსდამთავებული, არ შეიცავს საექიმო ფაკულტეტის პროგრამაში გაკვეთილების სიას. განკარგულების მოთხოვნების წესების საფუძველზე, სასწავლებლები ავტონომიურად ადგენენ სწავლის პროგრამას. ეს წესები ეხება პირებს, რომლებმაც დაიწყეს სწავლა განკარგულების ძალაში შესვლის შემდეგ.<br>შეზღუდულობის პრობლემატიკის მიმართ, განკარგულებაში დადგენილია, რომ ცოდნის ფარგლებში, საექიმო ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ესმის შეზღუდულობის მნიშვნელობა სოციალურ ფორმებთან დამოკიდებულებაში, შეზუღულობის სოციალური შედეგები და საზოგადოებრივ-კულტურული ბარიერები, აგრეთვე იცის და ესმის ინვალიდობის და შეზღუდულობის ცნება. გარდა ამისა, იცის სამედიცინო რეაბილიტაციაში გამოყენებული მეთოდები და როლი, ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებული ცხოვრების ხარისხის აქტუალური კონცეპცია, აგრეთვე შეუძლია ახსნას შეზღუდულობის გამოვლინების სიხშირის საზომები. ცოდნის ფარგლებში, კურსდამთავრებულმა უნდა შეასრულოს შეზღუდ. შესაძლ. მქონე პაციენტის ფუნქციონალური შეფასება და უნდა შესთავაზოს სარეაბილიტაციო პროგრამა ხშირი ავადმყოფობების შემთხვევაში.<br>შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირებთან დაკავშირებული თემატიკა არის ექთნების და მეანეების ასპირანტურის საგანი. სამედიცინო პერსონალის სწავლება შეზღუდ. შესაძლებ. მქონე ქალების სპეციფიკური მოთხოვნილებების ფარგლებში შედის |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | ოჯახის ექთნის სპეციალიზაციაში, რომელიც განკუთვნილია მეანეებისთვის (ნაწილები: გარკვეულ სამეანო პრობლემებში დახმარება, დედის შეზღუდულობის შემთხვევაში მეანეს როლი, ოჯახის მეანეს სამუშაოს სპეციფიკა, ოჯახურ გარემოში ოჯახის მეანეს ამოცანები ავადმყოფობისა და შეზღუდულობის შემთხვევაში). შეზღუდულობის საკითხები, როგორც ბავშვის, აგრევე უფროსის მიმართ, შედიან სხვა რიგ საექთნო და სამეანო ასპირანტურის სწავლების პროგრამებში.<br><br>სხვა სამედიცინო პროფესიების განათლების მიღების ფარგლებში, როგორც გარკვეულ  პროფესიების სწვლების პროგრამულ ბაზებში (ლიცეუმის შემდგომ სასწავლებლებში), აგრეთვე კვალიფიკაციის ეროვნულ ფარგლებში (KRK), რომლებზე დაყრდნობით მიმდინარეობს  უმაღლესების სხვა კარდების სწავლება, სასწავლებლები, უმაღლესების შესახებ კანონის მიხედვით, ვალდებულები არიან გაითვალისწინონ KRK სწავლების პროგრამებში, არ მოიცავენ ისინი კონკრეტულ საკითხებს შეზღუდ. შესაძლ. მქონე ქალების სპეციფიკური პრობლემების შესახებ. ეროვნული განათლების მინისტრის განკარგულებაში, კონკრეტული ტიპის სკოლებში, სკოლინდელი აღზრდისა და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამული ბაზის შესახებ, მოსწავლეები/მსენელები სამედიცინო განხრით განათლების ფარგლებში, ეცნობიან შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირებთან მუშაობის დროს მიერ გამოყენებულ აპარატურას და სხვათა შორის აგრეთვე იღებენ ცოდნას და გამოცდილებას, ავადმყოფის პრობლემების დადგენისა და გადაწყვეტის და ავადმყოფობის სხვადასხვა ფაზაში და ნებისმიერ ასაკში მყოფ უუნარო პირის მოვლითი პრობლემების დიაგნოზის (სამედიცინო მზრუნველი), პაციენტთან, მის ოჯახთან, გარემოსთან და გამააქტიურებელ-ტერაპევტულ ჯგუფთან ტერაპევტული კონტაქტის დამყარებისა და შენარჩუნების, პაციენტის ბიო-ფსიქო-სოციალური მოთხოვნილებების დიაგნოზის, ტერაპევტული სამუშაოების ინდივიდუალური და ჯგუფური პროგრამის დაგეგმვის, რომლებით ითვალისწინებენ პაციენტის დიაგნოზს და შესაძლებლობებს, მოთხოვნილებებს და ინტერესებს (პრაქტიკული ტერაპევტი), და დაავადების სახეობის ან შეზღუდულობის ტიპის შესაბამისად ორთოპედიული ფეხსაცმლის მორგების (ტექნიკი ორთოპედი) ფარგლებში. სამედიცინო-სოციალურ სფეროში, ლიცეუმის |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | შემდეგომ სამედიცინო დარგების სასწავლებლებში სწავლების პროგრამული ბაზის შესახებ განკარგულების თემაზე ეროვნული განათლების სამინისტროსთან (MEN) თანამშრომლობის შედეგად, იმ ცონდის გარდა, რაც ამ დარგებში ძირითად განათლებას შეადგენს, გათვალისწინებული იქნა ჟესტების ენის ცოდნა.<br>2 ნოემბრის 2011 წ. უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ფარგლების (KRK) შესახებ განკარგულების მიხედვით, უმაღლესის კურსდამთავრებულებმა სამედიცინო, ჯანმრთელობისა და ფიზ.-კულტურის შესახებ სწავლების სფეროში, უნდა იცოდნენ ავადმყოფური ცვლილებების და სოციალური დისფუქციის სიმპტომები და მიზეზები, აგრეთვე მათი შეფასების მეთოდები, კონკრეტულ ფაკულტეტზე სათანადო მეცნიერულ დისციპლინების და განათლების დარგების აუცილებელ სფეროში, უნდა გააჩნდეთ მყარი ცოდნა ჯანმრთელობისა და ფიზ.-კულტურის შესახებ სწავლებების ფარგლებში, უნდა შეეძლოთ პაციენტის, კლიენტის მოთხოვნილებების შესაბამისი მოქმედების გეგმის ჩამოყალიბება, და შეეძლოთ ჯანდაცვის სფეროს პრობლემების წარდგენა და ახსნა პირთათვის ან ჯგუფებისთვის ან საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის შეთავსებული ფორმით. KRK ატარებს ზოგად ხასიათს, თუმცა აძლევს სასწავლებლებს განათლების პროგრამის ფართო არჩევნის საშუალებას. ასე რომ, ეს სასწავლებისგანაა დამოკიდებულია, იქნება თუ არა მოცემულ ფაკულტეტზე შეზღუდ. შესაძლ. მქონე ქალების სპეციფიკური პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები. |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი | პუნქტი 273 (ამჟამად: 319): სასწავლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ ეტაპობრივად ხდება შშმ მოსწავლეების გამორიცხვა ინკლუზიური განათლებიდან და გადასვლა სეგრეგირებულ განათლებაზე მორიგ საფეხურზე. თუ ინკლუზიური განათლების მოსწავლეების რაოდენობა | **ეროვნული განათლების სამინისტრო:**<br>ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის შესახებ კანონი ორგანიზაციას საშუალებას აძლევს ბავშვებისა და ახალგაზრდობის განათლებისა და აღზრდისა, იმ ფორმებში, რომლებშიც უზრუნველყოფენ სკოლინდელ, სასკოლო და სასწავლო წლიური მომზადების განხორციელებას. კანონი ერთგვაროვნად აჩვენებს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა უთავსებს შინაარსს, მეთოდებს და სწავლების ორგანიზაციას მოსწავლეების ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობებთან, აგრეთვე ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დახმარების მიღების და დიდაქტიური მუშაობის სპეციალური ფორმის საშუალებას იძლევა, აგრეთვე ეს კანონი, შეზღუდ. შესაძლ. მქონე ბავშვების და ახალგაზრდობისთვის, ყველა ტიპის სკოლებში სწავლის |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | საბავშვობაღებში შეადგენს 30%, და თუ ჩავთვლით ინტეგრაციულ კლასებს 70%, მაშინ განათლების ყოველ ეტაპზე იზრდება მოსწავლეთა რაოდენობა რომლებიც სწავლობენ სპეციალურ სასწავლებლებში (თითქმის 30%-დან საბავშვო ბაღებში თითქმის 80%-მდე მეორე საფეხურის სკოლებში). | საშუალებას იძლევა ინდივიდუალური საგანმანათლებლო მოთხოვნების და მიდრეკილებების მიხედვით. კანონში მითითებულია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა უზრუნველყოფს შეზღუდ. შესაძლ. მქონე მოსწავლეებზე ზრუნვას განათლების პროცესის, სწავლების პროგრამებისა და ფორმების და სარეაბილიტაციო კურსების ინდივიდუალური სახით ჩატარების საშუალებით.<br>სპეციალური სწავლებით მოცული არიან შეზღუდ. შესაძლ. მქონე ბავშვები და ახალგაზრდობა, რომელიც საჭიროებს განათლების და მუშაობის მეთოდების სპეციალურ ორგანიზაციას. ეს სწავლება შეიძლება იყოს ჩატარებული საზოგადო სკოლებში, ინტეგრაციულ სკოლებში და ცენტრებში, სპეციალურ სკოლებში და ცენტრებში სწავლების ფორმის მეშვეობით, სპეციალური სწავლების საჭიროების შესახებ განცხადების საფუძველზე. ღრმა ფორმის გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების და ახალგაზრდობა სასკოლო და სწავლის მოვალეობებს ასრულებენ სარეაბილიტაციო-აღმზდელობით კურსებში მონაწილეობის მეშვეობით, რომლებიც ორგანიზებულია სარეაბილიტაციო-აღმზდელობით კურსების საჭიროების მოწმობის საფუძველზე.<br>შეზღუდულობის სახეობის მიხედვით, გონებრივი ჩამორჩენილობის ხარისხის ჩათვლით, შეზღუდ. შესაძლ. მქონე ბავშვებს და ახალგაზრდობას მიეწოდება განათლება და აღზრდა, რომელიც, მოთხოვნილიბათასამებრ, დაზიანებული ფუნქციების გამოსწორების, რეაბილიტაციის, ფარგლებში სწავლის საშუალებას იძლევა და უზრუნველყოფს სპეციალისტურ დახმარებას და მოვლას. ეს ნიშნავს, რომ შეზღუდ. შესაძლ. მქონე მოსწავლეებს, სწავლის ადგილმდებარეობის მიუხედავად, აქვთ მათ ინდივიდუალურ განვითარების და განათლების მოთხოვნილებებთან და ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობებთან შეთავსებული სპეციალური განათლების უფლება.<br>შეზღუდ. შესაძლ. მქონე ბავშვის ფუნქციონირების დონის შეფასებას ასრულებენ სპეციალისტები ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ ცენტრში, და აღნიშნავენ განათლების რეკომენდირებულ ფორმებს სპეციალური განათლების აუცილებლობის შესახებ მოწმობაში და ეხმარებიან მშობელს ბავშვისთვის ყველაზე შესაბამის სკოლის შერჩევაში. |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | განათლების ფორმის და ადგილის შესახებ გადაწყვეტილებას (საზოგადო, ინტეგრაციული ან ინტეგრაციული ნაწილების მქონე სკოლები და ბაღები) იღებენ აგრეთვე ბავშვების მშობლები (მეურვეები), რომლებსაც პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, გააჩნიათ თავიაანთ ბავშვზე სრული უფლება, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ეს უფლება იქნა შეზღუდული ან ჩამორთმეული. შეზღუდ. შესაძლ. მქონე მოსწავლის მშობელი, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის შესახებ კანონის მიხედვით, ირჩევს სკოლის ან ბაღის სახეობას (სპეციალური განათლების ფორმას), შესაბამისად, ზოგად, ინტეგრაციულ ან ინტეგრაციული ნაწილების მქონე, სპეციალური სკოლის ან სასკოლო-აღმზდელობითი სპეციალურ ცენტრის მითითებით.<br>სპეციალური განათლების განხორციელებას უზრუნველყოფს მოცემული ტიპის და სახეობის სკოლის (ცენტრის) მართვისთვის სათანადო ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეული. ორგანო, რომელიც მმართავს შეზღუდ. შესაძლ. მქონე მოსწავლის მშობლის მიერ არჩეულ ტიპის და სახეობის სკოლას (ცენტრს), მშობლის მიერ შეტანილი მოწმობის (რომელშიც განსაზღვრულია საგანმანათლებლო მოთხოვნილებების განხორციელების პირობები, სტიმულაციის, რეაბილიტაციის, თერაპიის, გაუმჯობესების, ბავშვის პოტენციალური შესძლებლობების და ძლიერი მხარეების განვითარების ფორმები და ფსიქოლოგიური-პედაგოგიური დახმარების სხვა ფორმები, აგრეთვე ბავშვისთვის სპეციალური განათლების საუკეთესო ფორმები) საფუძველზე, მიუთითებს საცხოვრებელ ადგილთან უახლოეს სკოლას/ბაღს, რომელშიც შესაძლებელია მოწმობაში ჩამოთვლილი რეკომენდაციების განხორციელება. საგანმანათლებლო სისტემის შესახებ კანონის საფუძველზე გაცემული წესების მიხედვით, სკოლა/ბაღი ვალდებულია უზრუნველყოს შეზღუდ. შესაძლ. მქონე მოსწავლეებისთვის სპეციალური განათლების საჭიროების შესახებ მოწმობაში ჩამოთვლილი რეკომენდციების განხორციელება. ბავშვისთვის სკოლის მითითებისას, წამყვან ორგანოს შეუძლია გაითვალისწინოს მშობლის (მეურვეს) თხოვნა კონკრეტული სკოლის (ცენტრის) არჩევნის თაობაზე.<br>2008-2012 წლებში, ეროვნული განათლების მინისტრის მიერ ჩატარებული სამუშაოები იურიდიული ფარგლების შექმნის საფუძველი გახდა იმ ბაღებისთვის, |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | სკოლებისთვის და ცენტრებისთვის, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში, თანამედროვე, მოქმედებების მრავალფეროვან საზოგადოებაში საჭირო და ინკლუზიურლი განათლების იდეის გავრცელებაზე მიმართული არიან.<br>2008 წლიდან, კანონებში ტარდება ცვლილებები, რომელთა მიზანია შეზღუდ. შესაძლ. მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდობის წარმატება სასკოლო სწავლაში, მათი განათლების შანსის გათანაბრება, სწავლის პირობების შესაბამისი პირობებით და ფსიქოლოგიური-პედაგოგიური დახმარებით უზრუნველყოფა. ჩატარებული ცვლილებების მეშვეობით, შეზღუდ. შესაძ. მქონე მოსწავლის სწავლების პროცესი შეთავსებულია მისი განვითარების და განათლების ინდივიდუალურ მოთხოვნილებებთან და ფსიქოფიზიკურ მიდრეკილებებიდან, მისი აქტუალური სკოლის ტიპისა და სახეობის მიუხედავად. საგანმანათლებლო ინდივიდუალური-თერაპევტული პროგრამა, რომლის საფუძველზე ხდება შეზღუდ. შესაძლ. მქონე მოსწავლის სწავლება, მოიცავს მასწავლებლების და სპეციალისტების ბავშვისკენ მიმართულ ერთობლივ მოქმედებებს, სარეაბილიტაციო კურსებს და ფსიქოლოგიური-პედაგოგიური დახმარების სფეროში კურსებს.<br>ეროვნული განათლების სამინისტრო ატარებს სკოლების, ბაღებისა და ცენტრების, სკოლებისა და პედაგოგიურ მმართვაში ზედამხედველი ორგანოების დირექტორებისთვის, მასწავლებლებისთვის განკუთვნილ მოქმედებებს, რომლების მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, მათ შორის შეზღუდული შესაძლ. მქონე ბავშვების და ახალგაზრდობის ეფექტური დახმარება.<br>2010-2011 წლებში, ეროვნული განათლების სამინისტრომ, სპეციალური პედაგოკიკის აკადემიასთან თანამშრომლობით, განახორციელა პროექტი „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლების ეფექტურობის ამაღლება“. მისი მიზანი იყო ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დახმარების უზრუნველყოფა, ბავშვის განათლების და აღზრდის უახლოეს გარემოში (ბაღში, სკოლაში და საგანმანათლებლო ცენტრში) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების და აღზრდის სისტემის ხარისხის გაზრდა. პროექტის ფარგლებში შემუშავებული იქნა |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მოდელი. ამ ფარგლებში ჩატარდა სწავლება 489 ცვლის ლიდერისთვის: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთან მუშაობის ახალი მოდელის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის ახალ ამოცანების სკოლებში და მასწავლებლების, სწავლაში სპეციფიკური სირთულეების საფრთხის გასარკვევად, მომზადების ფარგლებში (ამ მოქმედებების ფარგლებში შემუშავდა მასალები და ანკეტები). ცვლის ლიდერებმა ჩაატარეს საკონსულტაციო-ინფორმაციული შეხვედრები პოლონეთის მთელ ტერიტორიაზე მმართველი და პედაგოგიური კადრების წარმომადგენლებისთვის, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 50 ათასზე მეტმა ადამიანმა.<br>პროექტის ფარგლებში შემუშავებულ იქნა სპეციალური მოთხოვნილებების, მათში შეზღუდ. შესაძლ. მქონე მოსწავლეებთან მუშაობაში დამხმარე დიდაქტიკური მასალები დირექტორებისთვის, მასწავლებლებისთვის, და მშობლებისთვის:<br>- „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ეფექტურობის ამაღლება. სასწავლო მასალები, ნაწილი I“,<br>- „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ეფექტურობის ამაღლება. სასწავლო მასალები, ნაწილი II“,<br>- „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ეფექტურობის ამაღლება. მასალა მასწავლებლებისთვის“,<br>- „ბავშვების და ახალგაზრდობის სპეციალური საჭიროებები. იურიდიული საფუძვლები ABC ბაღის, სკოლის და ცენტრების დირექტორებისთვის“,<br>- „ბავშვებისა და ახალგაზრდობის სპეციალური საჭიროებები. ბაღში, სკოლაში და ცენტრებში კურსების მასწავლებლების, ჯგუფის აღმზრდელების და სპეციალისტების ჯგუფური მუშაობა”,<br>- „ჩემი ბავშვი ბაღში და სკოლაში. რჩევები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლებისთვის”,<br>- საინფორმაციო ბროშურა მშობლებისთის.<br>მასალები უფასოდ გადაეცა ბაღებს, სკოლებს და ცენტრებს, აგრეთვე ხელმისაწვდომია ეროვნული განათლების სამინისტროს და განათლების განვითარების ცენტრის ინტერნეტულ საიტზე, აგრეთვე საგანმანათლებლო |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | პორტალზე Scholaris უფასოდ გადმოწერის საშუალებით.<br>2012 წელს სამთავრობო პროგრამის „უსაფრთხო და მეგობრული სკოლა“ განხორციელების ფარგლებში, ეროვნული განათლების სამინისტრომ განახორციელა საჯარო ამოცანის „ინკლუზიური განათლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლაში ზოგად, ინტეგრაციულ და ინტეგრაციული ნაწილების მქონე სკოლებში“ შესრულების შეთავაზების ღია კონკურსი. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულების, არასამთავრობო ორგანიზაციების და საჯარო სარგებლობის ორგანიზაციებისკენ მიმართული კონკურსის მიზანი იყო ინკლუზიური განათლების იდეის გავრცელების მატარებელი პროექტის განხორციელების საუკეთესო შეთავაზების შერჩევა. კონკურსის შედეგად დაფინანსება მიიღო 48 სუბიექტმა. განხორციელებული პროექტი მიმართული იყო მოსწავლეთათვის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, განათლების II ეტაპიდან IV ეტაპამდე, რომლებიც დადიან ამ სკოლებში და მათი მშობლებისთვის და მასწავლებლებისთვის.<br>2013 წელს ეროვნული განათლების სამინისტრომ ჩაატარა შეთავაზებების კონკურსი შემდეგი ამოცანის განსახორციელებლად: „მეგობრული და უსაფრთხო სკოლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის - საზოგადო და ინტეგრაციულ სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა უსაფრთხო და ეფექტური ფუნქციონირების ფარგლებში მოქმედებების გამავრცელებელი პროექტები“. კონკურსის შედეგად დაფინანსება მიიღო 38 სუბიექტმა.<br>2014-2020 წლებში დაფინანსების ახალ პერსპექტივაში იგეგმება პროექტების განხორციელება, რომელთა მიზანი იქნება სკოლების მხარდაჭერა განვითარების სპეციალური მოთხოვნილებების მქონე მოსწავლესთან მუშაობის ინდივიდუალური მუშაობის ფარგლებში. მოქმედებები ბაღებს, სკოლებს და ცენტრებს სპეციალური აპარატურის, დიდაქტიური სახსრების და დახმარების მოპოვების საშუალებას აძლევენ, რაც აუცულებელია ბავშვების და ახალგაზრდობის მოთხოვნილებების გასარკვევად, განვითარების მხარდასაჭერად და თერაპიის ჩატარებისთვის. ბაღების, სკოლების და ცენტრების პედაგოგიური |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | კადრი მომზადებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდობთან მუშაობისას ეფექტურად გამოიყენოს დიდაქტუკური-სასწავლო დახმარებები, რაც ორგანიზაციის და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დახმარების გაწევის საშუალებას მისცემს ბავშვების და ახალგაზრდობის განვითარების და განათლების ინდივიდუალური მოთხოვნილებების  შესაბამისად.<br>ეროვნული განათლების სამინისტრო თანამშრომლობს საზოგადოებრივ პარტნიორებთან პროექტების მხარდაჭერის ფარგლებში, რომლებიც განკუთვნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან და ახალგაზრდობასთან მომუშავე მასწავლებლების მომზადებისთვის.<br>2013 წელს, ეროვნული განათლების მინისტრი გახდა პოლონეთის უსინათლოთა კავშირის ტიფლოლოგიის ინსტიტუტის პროექტის საპატიო მფარველი „უსინათლო და სუსტი მხედველობის დამატებითი შეზღუდულობის მქონე 12 წლამდე იმ ბავშვების მზრუნველი სპეციალისტების დამატებითი სწავლება, რომლებსაც არ გააჩნიათ წინასწარი მხარდაჭერა და სასკოლო განათლება“, რომელიც განხორციელებულია, Perkins-ის ფონდთან (USA) თანამშრომლობით. პროექტს პოლონეთის ქვეყნის მასშტაბის ხასიათი აქვს, განხორციელებული იქნება 1 ოქტომბრიდან 2012 წ. 30 სექტემბრამდე 2015 წ. მისი მიზანია მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვების და მასწავლებლების განსაზღვრა, ადრეული დახმარების სპეციალისტების და მასწავლებლებისთვის სწავლების პროგრამის შემუშავება, ურთიერთდამოკიდებული დარღვევების მქონე უსინათლო 0-12 ასაკის ბავშვების სპეციალისტების და მასწავლებლებისთვის სწავლების ჩატარება, საზოგადო და ინტეგრაციული დარგების მასწავლებლებისა და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრებისა და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კლინიკების წარმომადგენლებისთვის სწავლების ჩატარება, სკოლინდელი ბავშვების მომარაგება უსინათლო ბავშვებისთვის განკუთვნილი დიდაქტიური და სარეაბილიტაციო დახმარების მასალით და სკოლების სასწავლო მასალებით მომარაგება. პროექტით მოცული იქნება 210 სპეციალისტი და მასწავლებელი პოლონეთში. პროექტი დაფინანსდება Perkins School for the Blind w Bostonie (USA)-სთან მოქმედი Perkins International-ის მიერ. |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
| --- | --- | --- |
| | | პოლონეთის უსინათლოთა კავშირის მიერ წამოწყებული ინიციატივა იქნება ცოდნის ძვირფასი წყარო უსინათლო და ურთიერთდამოკიდებული დარღვევების მქონე ბავშვების განათლების ფარგლებში.<br>ეროვნული განათლების სამინისტრო საჭიროდ სთვლის რესორტებს შორის სამუშაოების ჩატარებას, რომლებიც მიზანია დაბადებიდან მოზრდილობამდე შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა დახმარებასთან დაკავშირებულ სისტემური გადაწყვეტილებების შემუშავება. ეს პოსტულატი შემოთავაზებული იყო ეროვნული განათლების  სამინისტროს მიერ შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა საკითხებში ეროვნულ საკონსულტაციო საბჭოსთვის.<br>ეროვნული განათლების სამინისტრო ატარებს სამუშაოებს მშობლების დიდი წვლილის შეტანის უზრუნველყოფის მიმართულებით, მათში შეზღუდ. შესაძლ. მქონე ბავშვების და ახალგაზრდობის მშობლებისა, სკოლის ფუნქციონირების გადაწყვეტილებებში. 2012 წ., როგორც დიალოგის ასპარეზი, ჩატარდა ეროვნული განათლების სამინისტროსთან მოქმედ მშობელთა ფორუმი, რომელიც მოსწავლეთა მშობლების დამჯგუფებელ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს საგანმანათლებლო პოლიტიკის მიმართულებაზე გავლენას. ჩატარდა ფორუმის ორი შეხვედრა, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლების პრობლემატიკას მიეძღვნა. მშობელთა ფორუმის თანამშრომლობის შედეგია, სხვათაშორის, მშობლების პოსტულატების შეგროვება სკოლის ფუნქციონირების, მშობლებისთვის სწავლებების თემების თაობაზე, მშობლების სკოლის ტერიტორიაზე საქმიანობათან დაკავშირებული რჩევების შემუშავება, შეზღუდულობების მქონე ბავშვების და ახალგაზრდების მშობლებისთვის ინფორმატორის შექმნაზე სამუშაობების ჩატარება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას შეზღუდ. შესაძლ. მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდობის და მათი ოჯახების მხარდაჭერის შესაძლებელ მეთოდების შესახებ. 2013 წელს, გამოიცა ინფორმატორი-ბროშურა მშობლებისთვის „თვითმმართველობები და სამთავრობო ადმინისტრაცია შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთათვის“, შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა უფლებათა შესახებ.<br>მშობელთა ფორუმის მოქმედების შედეგია ფართო დისკუსიის ჩატარება შეზღუდ. შესაძლ. მქონე ბავშვის საგანმანათლებლო სისტემაში ადგილის შესახებ, მის დროს |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | ჩამოყალიბდა სისტემური ცვლილებების შეთავაზებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ესეთ მოსწავლეებზე უკეთეს ზრუნვას და მათ განვითარების მხარდაჭერას.<br>წარდგენილი ინფორმაცია მიუთითებს, რომ ტარდება მოქმედებები შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის, ამაში ინკლუზიური განათლების გავრცელების შესახებ დადგენილებების, განსახორციელებლად. |
| ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის ფონდი | პუნქტი 405-406 (ამჟამად: 463-464): მ.ო. საქმეში პროკურატურამ და სასამართლომ დაადგინეს, რომ ინვალიდობის გამო მ.ო.-ს არ შეუძლია შეასრულოს პროკურორის პროფესია. მართალია 2008 წ. ივლისში ZUS-ის ექსპერტმა ექიმმა ცნო მ.ო. მუშაობისთვის სრულიად უვარგისი და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, მაგრამ რეაბილიტაციის შემდეგ გამოცხადდა სამსახურში წარადგინა შრომის ექიმის ცნობა სამსახურში სადაც ეწერა რომ მას შეუძლია თავის პროფესიაში მუშაობა. პროკურატურამ საფუძვლად აიღო სხვა ექიმის ცნობას რომელიც მ.ო. შრომის უვარგისობას ანახებდა. ნეგატიური პასუხი იმიტომ იყო, რადგან პროკურატურამ ძალიან ფართო კვლევითი სპექტრი მიუთითა პროკურორის თანამდებობისთვის მათ შორის | **იუსტიციის სამინისტრო:**<br>სასამართლო აღმსრულებლის, მოსამართლის თუ პროკურატორის თანამდებობის შესრულების დაწყების კონტექსტში, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პროფესიებისადმი საჯარო ნდობის პროფესიების ხასითის მინიჭება ნიშნავს გარკვეული შეზღუდვების კანონიერ დაშვებას პროფესიის და მისი შესრულების ხელმისაწვდომების კონსტიტუციური თავისუფლების ფარგლებში. (იხ. კონსტ. ტრიბუნალის TK განაჩენი 19 აპრილის 2006 წ., K 6/06, OTK-A, 2006/4/45). საჯარო ნდობის პროფესიებზე გატარებული უნდა იყოს შესაბამისი რეგლამენტაცია და იურიდიული გარანტიები, რადგან ესეთ დაცვით გადაწყვეტილებებს მოითხოვს საჯარო ინტერესი და იურისტული სამსახურების მიერ მომსახურებულ პირთა ინტერესების დაცვა.<br>უნდა ხაზი გავუსვათ, როგორც საკონსტიტუციო ტრიბუნალის მიერ ნახსენები დადგენილებიდან გამომდინარეობს, რომ საჯარო ნდობის პროფესიებზე ხელმისაწვდომა უნდა იყოს შეზღუდული მოცემული ადამიანის ნიჭის და კვალიფიკაციებით, აქაც უნდა აღვნიშნოთ, რომ საკონსტიტუციო ტრიბუნალმა არ შეზღუდა ეს მოთხოვნა მხოლოდ პროფესიული კვალიფიკაციების მიმართ. კვალიფიკაციის ცნება მოიცავს როგორც განათლებას, ასევე რაიმე ფუნქციის ან პროფესიის შესრულების საჭირო უნარიანობას. ხოლო ეს უნარიანობა, წინაპირობაა რაიმე სფეროში უჩვეულო  უნარის მოპოვებისა. ეს მზადყოფნა არის არამარტო თანდაყოლილი ნიჭი და მიდრეკილება რაიმესადმი, არამედ აგრეთვე პირის ფიზიკური და ფსიქიკური ფორმა, განსაკუთრებით კარგი. კვალიფიკაციის ლექსიკური გაგება, როგორც საჯარო ნდობის პროფესიებისადმი ხელმისახვდომობის პირობა, თეზისის ჩამოყალიბების საშუალებას გვაძლევს, რომ ეს წინაპირობა ეხება ამ პროფესიის შემსრულებელი კანდიდატის ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობას. ამ სიტუაციაში, საჯარო ნდობის პროფესიის |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | ფიზიკური დატვირთვაც. საპროცესო წერილებში მ.ო.-ს ადვოკატები და თვითონ მისი არგუმენტი იყო ის, რომ ევროკავშირის დებულებები (უპირველესყოვლისა დირექტივა 2000/78/WE) მიუთითებს დისკრიმინაციის აკრძალვაზე შშმ პირთა მიმართ და ავალდებულებს დამსაქმებელს სამუშაო პირობების ადაპტაციას შშმპ შესაძლებლობების მიხედვით. | კანონდებლობით დაწესებული ყველა მოთხოვნილების შესრულება დასაბუთებულია იმით, რომ მინდობილია მათთვის განსაკუთრებული ხასიათის ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანები სახელმწიფოს ამოცენების თვალსაზრისით, საჯარო ინტერესების განხორციელების სასარგებლოდ, თუ თავისფლების გარანტიის და ერთეულის უფლებების რაკურსით. შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია სტატ. 27-ში მუხ.1 ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო მხარეები ანიჭებენ ამ ადამიანებს მუშაობის უფლებას, სხვა პირებთან თანასწორობის საფუძველზე, რაც მოიცავს თავისუფლად არჩეული ან შრომის ბაზარზე მიღებული სამუშაოთი თავის რჩენის შესაძლებლობის უფლებას. ხოლო ამავე დროს, კონვენციის სტატ. 5 მუხ. 3 ამბობს, რომ დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის მხარდაჭერის მიზნით, სახელმწიფო მხარეები გადადგამენ ყოველ შესაბამის ნაბიჯს, რაციონალური გაუმჯობესებების მიზნით. რაციონალური გაუმჯობესებები ნიშნავს სამაგიეროდ აუცილებელ და სათანადო ცვლილებებს და შეთავსებას, რომლებიც არ აკისრებენ არაპროპორციულ და ზედმეტ დატვირთვას, თუ ეს საჭიროა კონკრეტულ შემთხვევაში, შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა მიერ ადამიანის ყველა უფლებების და ძირითადი თავისუფლების გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით და აგრეთვე მათი სხვა ადამიანების მიმართ თანაბარ დონეზე შესრულების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. (სტატ. 2).<br>მგავსად, ეს საკითხი დარეგულირებულ იქნა 27 ნოემბრის 2000 წ. საბჭოს დირექტივაში 2000/78/WE, რომელშიც დაწესდა საერთო თანაბარი მოპყრობის ძირითადი პირობები დასაქმების და მუშაობის ფარგლებში, და რომელიც კრძალავს შეზღუდულობასთან დაკავშირებულ უშუალო და არაუშალო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფორმას. (სტატ. 2 მუხ. 1). დირექტივის წესები უდგებიან ყველა პირს, როგორც საჯარო სექტორისა, ასევე პირად პირებს, საჯარო დაწესებულებების ჩათვლით, საკუთარი ხარჯით დასაქმების და მუშაობისამდე ხელმისაწვდომობის პირობების გათვალისწინებით, ამათში აგრეთვე შერჩევის კრიტერიუმების და რეკრუტირების პირობებისა (სტატ.3 მუხ. 1. ლიტ.1). ამის დამოუკიდებლად, დირექტივა ითვალისწინებს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ ჩათვალონ, რომ სტატიაში 1 ჩამოთვლილ ერთერთ მიზეზთან |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | დაკავშირებულ თვისების გამო სხვანაირი მოპყრობა, მათში შეზღუდულობა, არ არის დისკრიმინაცია იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული აქტიურობის სახეობის და მისი შესრულების პირობების გათვალისწინებით, მოცემული თვისებები მნიშვნელოვანი და გამსაზღვრელი პროფესიული მოთხოვნაა, იმ პირობით, რომ მიზანი შეეთანხმება კანონს, მოთხოვნილება კი პროპორციულია (სტატ. 4 მუხ. 1). შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა თანაბარი მოპყრობის წესის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, დირექტივა ითვალისწინებს აგრეთვე რაციონალური და პროპორციული გაუმჯობესებების შემოყვანას (სტატ.5). დირექტივა არ აწესებს მოთხოვნას, რომ პირი, რომელიც არ არის კომპეტენტური, არც უნარიანი და განწყობილი მოცემულ თანამდებობაზე უმთავრესი მოქმედებების შერულებისთვის ან მოცემული სწავლის გაგრძელებისთვის, იყოს სამუშაოზე მიღებული, წინ წაწეული ამ შემდგომ დასაქმებული, რაციონალური ცვლილებების ჩატარების აუცილებლობის დაურღვევლად, შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით.<br>ზემოთ ხსენებულთან დაკავშირებით, სჩანს, რომ არ შეიძლება იმ წინაპირობის ეფექტურად მიღება, რომ ყოველ შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირს შეუძლია ყოველი საჯარო ნდობის იურიდიული პროფესიის შესრულება, მათში სასამართლო აღმსრულებლის, მოსამართლის თუ პროკურატორისა, სახელმწიფო კი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიამდე ისეთი ხელმისაწვდომი პირობები, რომლებიც სრულიად გაათანაბრებენ შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა შანსს ამ ფარგლებში.<br>უნდა ითქვას, რომ ზემოთ ხსენებულ საკანონმდებლო მატერიაში არ არსებობს იმის მიღების საფუძველი, რომ გაჩნდეს შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა შესახებ კონვენციის დარღვევის საფრთხე. |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი | მუხ. 27: ქალებისთვის უფრო დიდი ფინანსური მხარდაჭერა, რომლებთაც სურთ დასაქმება ან თვითდასაქმება. | **შშმპ რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდი:**<br>**შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდი:**<br>PFRON-ის მიერ განხორციელებული დასაქმებაზე მიმართული პროექტები, არ არის მიმართული მხოლოდ ქალებისთვის, მაგრამ შეიცავენ ანტიდისკრიმინაციულ ჩანაწერებს. პროქტების მიზანია შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა მხარდაჭერა, რაც დაეხმარება მათ პროფესიულ აქტიურობაში და გაზრდის |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
| --- | --- | --- |
| | | დასაქმების შანსს. მხარდაჭერის ფორმები შეთავსებულია ინდივიდულურ მოთხოვნილებებთან და პროქტის მონაწილეების შესაძლებლობებთან. ეს შეიძლება იყოს, მაგ. პროფესიული აქტივიზაციის პრაქტიკების დამთავრება, რეაბილიტაციური სტაჟის გავლა, პროფესიული სწავლებების დამთავრება, სხვათა შორის კვალიფიკაციის და უნარიანობის ასამაღლებლად, სამუშაოს დაწყება, სწავლის გაგრძელება და დაწყება, დამსაქმებელთან ინდივიდუალური პრაქტიკული კურსების დამთავრება.<br>2014-2015 წლებში, „აქტიური თვითმმართველობა“ პილოტაჟური პროგრამის ფარგლებში, განხორციელებული იქნება მოდული I სფერო D - პროფესიული აქტიურობის შენარჩუნებაში დახმარება, დამოკიდებული პირზე მზრუნველობის უზრუნველყოფის საშუალებით. სფერო D-ს ფარგლებში შეიძლება მიღებულ იქნას თვიური ფინანსური დახმარება 200 ზლ., წლის განმავლობაში არაუმეტეს 2,400 ზლ. - ყოველი დამოკიდებული პირზე მზრუნველობითი ხარჯების სახით. დამოკიდებული პირის განსაზღვრებაა: განმცხადებლის მზრუნველობის ქვეშ ბავშვი და ბაგაბაღში ან ბაღში ან სხვა სახეობის მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვი (დღის მომვლელისა, ძიძის ან საბავშვო კლუბის, ბაღის ერთეულის, ბაღის აღმზრდელობითი ჯგუფის ფარგლებში). |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი | მუხ. 27: დახმარების გაწონასწორება ღია და დაცული შრომის ბაზარზე. | **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო:**<br>პუნქტი 376 (ამჟამად 430) მიღებულ იქნა ახალი ჩანაწერი, აგრეთვე დამატებულ იქნა ინფრომაცია (pkt 426). |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი – პოლონეთის ყრუთა ასოციაცია | მუხ. 27: გადაწყვეტები რომელიც იქნა შემუშავებული პროექტების ფარგლებში, რომელთა მიზანი იყო ყრუ პირების შეყვანა შრომის ბაზარზე (2008-2012 წლები) არ იქნა შემოღებული როგორც სტანდარტი, ხოლო პროექტის რეალიზებისთვის შექმნილი სპეციალისტების ჯგუფები პროეკტის დასრულების შემდეგ | **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო:**<br>არ არის ნათელი, რომელ გადაწყვეტილებებზეა ლაპარაკი, რომლებიც არ იყო მიღებული როგორც სტანდარტი.<br>PFRON-ის მიერ განხორციელებული პროექტები ყრუ პირთათვის, 1.3.6 PO KL 2007-2013 ქვემოქმედებების ფარგლებში პარტნიორობით - ეს პროექტის მეორე გამოშვებაა „ყრუ პირთა მხარდაჭერა შრომის ბირჟაზე“, რომელიც უზრუნველყოფდა შედეგების გავრცელებას, თუნდაც შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა პროფესიული და სოციალური აქტივიზირების შესახებ კარგი პრაქტიკების სახელმძღვანელოს მომზადების და დიტრიბუციის ფორმით.<br>პროექტის გავრცელების წესის, შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთათვის გაწეული |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
| --- | --- | --- |
| | არ არიან გამოყენებული. | მხარდაჭერის ფორმების თემაზე ცოდნის მიწოდების საშუალებით, მიზანია გადაწყვეტილებების გამრავლების შესაძლებლობის შექმნა მსგავს განკუთვნილ ჯგუფებში, აგრეთვე რეგიონალურ დონეზე განხორციელებულ პროექტების ფარგლებში. სამაგიეროდ არ არსებობს მექნიზმები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ავტომატურად ჩართონ პროექტში მონაწილე სპეციალისტები სხვა მოქმედებებში. მათ შეიძლება ჰქონდეთ პროექტების ფარგლებში მოპოვებული გამოცდილება, და ამიტომ მიიღონ მონაწილეობა სხვა პროექტებში. |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი – პოლონეთის ყრუთა ასოციაცია | Artykuł 27: არ არსებობს არანაერი პროფესიული ინფორმაციის სისტემა პოლონურ ჟესტურ ენაზე. | **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო:**<br>დასაქმების პრომოციის და შრომის ბირჟის დაწესებულებების შესახებ კანონის თანხმად, სათანადო მინისტრი შრომის საკითხებში, ახორციელებს ამოცანებს შრომის ბირჟის მიმართ, დასაქმების საჯარო სამსახურების კოორდინაციის საშუალებით, განსაკუთრებით, პროფესიული კონსულტინგის მოთხოვნილებებისთვის საინფორმაციო ინსტრუმენტების, მეთოდების და სახსრების შექმნის, რეკომენდაციის და გავრცელების საშუალებით, აგრეთვე სამუშაოს მედიაციის, სწავლებების ორგანიზაციის, უფროსების პროფესიული მომზადების საშუალებით ან კანონში სხვა ფორმის დახმარების მოთხოვნების თანახმად განსაზღვრული საშუალებებით.<br>კანონის სტატ 38, მუხ.1 პუნქ.1 განსაზღვავს, რომ პროფესიული კონსულტინგი და პროფესიული ინფორმაცია არის უმუშევრების და სამუშაოს მძებნელებისთვის დახმარების გაწევა სათანადო პროფესიის შერჩევაში და დასაქმების ადგილზე, განსაკუთრებით პროფესიების, შრომის ბირჟის და სწავლებების და განათლების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გაზიარების საშუალებით.<br>დასაქმების საჯარო სამსახურების მიერ შრომის ბირჟის მომსახურებების განხორციელებასთან დაკავშირებულ დეტალურ საკითხებს, მათ შორის პროფესიური კონსულტინგის და პროფესიული ინფორმაციის მომსახურება, განმარტავს შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრის 14 სექტემბრის 2010 წ. განკარგულება შრომის ბირჟის მომსახურებების სტანდარტების და პირობების მართვის საკითხებში. განკარგულების თანახმად, პროფესიული ინფორმაციის და სამუშაოს აქტიური ძებნაში დამხმარე სხვა საინფომაციო სახსრები ხელმისაწვდომია პოვიატის შრომის ბირჟაზე და სავოევოდო შრომის უწყებაში საინფორმაციო და პროფესიული კარიერის დაგეგმვის ცენტრში, ქაღალდის |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
| --- | --- | --- |
| | | ვერსიით, აუდიოვიზუალური ან ელექტრონული სახით, აგრეთვე ინტერნეტულ საიტებზე, შესაბამისად, პოვიატის და სავოევოდო შრომის ბირჟაზე. საინფორმაციო მასალები ხელმისაწვდომია უმუშევარი და სამსახურის მძებნელი პირებისთვის, მათთვის ვინც პოვიატების შრომის ბირჟაზე არ არის დარეგისტრირებული და დამსაქმელებთათვის. ეს ნიშნავს, რომ პოლონურ ჟესტების ენაზე შემუშავებული სისტემის უქონლობის მიუხედავად, პროფესიული ინფორმაციის სახსრებით, რომლებიც შექმნილია საჯარო სამსახურების მიერ, სარგებლობა შეუძლიათ შეზღუდ. შესაძელ. მქონე პირებს, მათ შორის ყრუებს. |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი | 27 მუხლი: MPiPS-ის უმნიშვნელო დაინტერესება ახალი პერსპექტივების UE 2014-2020 პროგრამირებაში შშმ პირთათვის - ეკ სახსრების გამოყენების შანსის დაკარგვის რისკი რისკი, შრომის ბაზარზე შშმპ თანაბარი შანსების გაძლიერებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ეკ ზოგადი შესწორებული დადგენილება ხუთი ფონდის პროგრამირების შესახებ ერთობის პოლითიკის 2014-2020, ავალდებულებს *ex-ante* მოწევრო ქვეყნებს, მოაწერონ პარტნიორული ხელშეკრულება ეკ "მოქანიზმის არსებობის" აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს შშმპ შესახებ გაეროს კონვენციის მართებულ განხორციელებასა და გამოყენებას. | **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო:**<br>შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამონისტრო, მასში შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა საკითხებში სახელმწიფო უფლებამოსილის ბიურო, ჩართულია საფინანსო პერსპექტივის 2014-2020 დაპროგრამირებაში. ამ მიზნით MPiPS-ში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ევროკავშირის საფინანსო პერსპექტივაზე მუშაობის საკითხებთან დაკავშირებით.<br>ჯგუფი, სხვათა შორის, ადასტურებს და ამზადებს „ევროკავშირის საფინანსო პერსპექტივასთან 2014-2020 დაკავშირებულ პროგრამულ დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზციის სისტემიდან“ გამომდინარე პროგრამულ დოკუმენტებს, ერთდროულად შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა მოთხოვნების სრული გათვალისწინებით.<br>ყოველ ჯერზე, როგორც ეროვნული კონსულტაციის დროს, აგრეთვე რეგიონალური ოპერაციული პროგრამებისა, MPiPS აღნიშნავს, რომ უნდა იყოს მიღებული ყველა მოქმედებები, რომელთა მიზანია შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა თანაბარი ხელმისაწვდომობის და დისკრიმინაციის უკუქმედების გარანტირება. შეზღუდულობის საკითხები უნდა იყოს გათვალისწინებული ჰორიზონტალური სახით, ე.ი. შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა მოთხოვნილებები უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა მოქმედებებში.<br>MPiPS ამახვილებს აგრეთვე ყურადღებას, ინფრასტრუქტურული ინვესტიციებში შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მოთხოვნილებების შესრულების აუცილებლობას. იგი აგრეთვე ითხოვს გარანტიას, როგორც წინაპირობას, შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა თანაბარ |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
| --- | --- | --- |
| | | ხელმისაწვდომობისა შეთავაზებული დახმარების მიმართ და აუცილებელი შეთავსებებისა შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთათვის, ევროკავშირის სახსრებისგან განხორციელებული ინიციატივების ფარგლებში, აგრეთვე მიანიშნებს, რომ ფინანსური სახსრების გარანტია საჭიროა მატერიალურ შეთავსებებისთვის. რეგიონალური ოპერაციული პროგრამების ფარგლებში შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირები მოხვდნენ იმ ჯგუფებში, რომლებიც არიან შრომის ბირჟაზე ურთულეს სიტუაციაში, და მათკენ მიმართული იქნა დახმარების შესაბამისი ინსტრუმენტები, მათ შორის სპეციფიკური, როგორებიცაა დახმარება დასაქმება. გარდა ამისა, ოპერაციული პროგრამის „ცოდნა განათლება განვითარება 2014-2020“ (მინისტრთა საბჭოს მიერ 8 იანვარს, 2014 წ. მიღებული ვერსია) ფარგლებში, გათვალისწინებულ იქნა MPiPS-ის მიერ მოთხოვნილი რიგი მოქმედებები, რომელთა მიზანი იყო შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა დახმარების სისტემის განვითარება.<br>საინვესტიციო პრიორიტეტის 8.11 ფარგლებში ჩატარებული მოქმედებების მიზანი იქნება თანამედროვე ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებიც შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირებს საშუალებას მისცემენ მონაწილეების გაზრდას შრომის ბირჟაზე. ინსტრუმენტები შეეფარდებიან შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირის ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს და შეთავსებული იქნებიან დამსაქმებელის და შრომის ბირჟის მოთხოვნილებებთან. აუცილებელია ანალიზი და შეფასება ამჟამად მოქმედ ინსტრუმენტებისა, რის შედეგად შეიქნებიან შესაძლო ცვლილებები ან ახალი ინსტრუმენტების შექნმის წინადადებები, რომლებიც გაითვალისწინებენ ცვლილებად სიტუიაციას შრომის ბირჟაზე და ცოდნის აქტუალურ მდგომარეობას.<br>პრიორიტეტის 9.4 ფარგლებში გამოყოფილ იქნა დეტალური მიზანი „საჯარო პოლიტიკების სუბიექტების მომზადება შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა შესახებ გაეროს კონვენციის დადგენილებების სრულ დანერგვისთვის“, სახელმწიფო უფლებამოსილი შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა საკითხებში კი იყო დანიშნული პოტენციალურ ბენეფიციარებს შორის. განხორციელებული იქნება სამუშაოები, ლოკალური პირთა, გარემოების და საზოგადოებების სოციალური ჩართვისა და სიღატაკის შემცირების მიზნით შექმნილი არსებული გადაწყვეტილებების და მომსახურების აუდიტის და განვითარების ფარგლებში და ახალი |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | გადაწყვეტილებების და სტანდარტების შემუშავება, რომლებიც საშუალებას მისცემენ ზუსტად გამოარჩიაონ ის პირები, რომელთათვის მიმართული უნდა იყოს დახმარების ინსტუმენტები, ბენეფიციარის ინდივიდუალურ მოთხოვნილებებისადმი მათი შეთავსების გათვალისწინებით (შეზღუდულობის დადგენის თანამედროვე სისტემა).<br>სამუშაოების ამჟამინდელი ეტაპის გამო, შეუძლებელია ამ მოქმედებების განხორციელებაზე განკუთვნილი ალოკაციის თანხის განსაზღვრა. |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი | პუნქტი 414 (ამჟამად: 473): დებულებები არ განსაზღვრავენ ე.წ. სამუშაო უუნარობის ზომას, რასთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილება შეიძლება იყოს თვითნებული და არ დააკმაყოფილებს კონსტიტუციურ ნორმებს. | **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო :**<br>სოციალური სადაზღვევო ფონდიდან პენსიების და დახმარებების შესახებ კანონში, საერთო ფორმით აღწერილია გარემოებები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული სამუშაოს უუნარობის ხარისხისა და მოსალოდნელი პერიოდის შეფასებისას და სამუშაოს შესრულების უნარიანობის აღდგენის პროგნიზისას.<br>იმის გათვალისწინებით, რომ კანონები ითვალისწინებენ დაზღვეულის პროფესიით ან სხვა პროფესიით სამუშაოს უუნარობის ხარისხის დადგენას, შეუძლებელია ასეთი უუნარობის კონკრეტული საზომების განსაზღვრა, არსებული პროფესიების რაოდენობის გათვალისწინებით.<br>განსაზღვრების თანახმად, სამუშაოს შესრულების უუნარო პირი არის ის, რომელმაც სრულიად ან ნაწილობრივ დაკარგა შემოსავლიანი შრომის უნარი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირების დარღვევის გამო და არ r.je შრომის უნარიანობის აღდგენას გადაკვალიფიცირების შემდეგ. შრომისთვის სრულიად უუნარო პირი არის ის, რომელმაც დაკარგა ნებისმიერი სამუშაოს შესრულების უნარიანობა, ხოლო ნაწილობრივ სამუშაოსთვის უუნარო პირი ის, რომელმაც უმეტეს წილად დაკარგა სამუშაოს უნარიანობა მისი კვალიფიკაციების დონესთან შეფარდებით.<br>შეზღუდულობის მოსალოდნელი პერიოდისა და ხარისხის და სამუშაოს უნარიანობის დაბრუნების პროგნოზის შეფასებისას, მხედველობაში მიღებულია: ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირების დარღვევის ხარისხი და მკურნალობის და რეაბილიტაციის გზით ორგანიზმის საჭირო მოქმედების დაბრუნების შესაძლებლობა, ამჟამინდელი სამუშაოს შესრულების შესაძებლებლობა ან სხვა |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
| --- | --- | --- |
| | | სამუშაოს დაწყება და პროფესიული გადაკვალიფიცირების მიზანშეწონილობა, განათლების დონის, ასაკის და ფსიქოფიზიკური მდგომარეობა.<br>სამუშაოს უუნარობის სახელით გაცემული დახმარება, არის დაზღვეული პირის ორგანიზმის ავადმყოფობის მდგომარეობასთან დაკავშირებით დახმარება, რაც ობიექტიურად ამ პირს ხდის სამუშაოს შესრულების უუნარო პირად. სამუშაოს სრულიად უუნარობის შეფასებისას უნდა გათვალისწინებული იყოს, როგორც ბიოლოგიური კრიტერიუმი (დაავადებებული ორგანიზმის მდგომარეობა, რომელიც არღვევენ მის ნორმალურ ფუნქციონირებას და გამოიწვევენ სრულიად უუნარობას ნებისმიერ სამუშაოს შესრულებისთვის), როგორც ეკონომიური კრიტერიუმი (ნებისმიერი სამუშაოს სრულიად უნარიანობის დაკარგვა)<br>კანონი უფლებას აძლევს ZUS-ის პრეზიდენტს, შეამოწმოს სამუშაოს უუნარობის შესახებ დიაგნოზირების წესების გამოყენების სისწორე და ერთობლიობა, ექსპერტი ექიმების და სამედიცინო კომისიების მიერ, აგრეთვე ამ ექსპერტ ექიმებისთვის და სამედიცინო კომისიებისთვის რეკომენდაციების გაწევა ამ საკითხებში. ZUS-ი, ამ ამოცანების განხორციელების ფარგლებში, გამოსცემს „ZUS-ის სამედიცინო დიაგნოზის სტანდარტებს“ რომელიც სახელმძღვანელოა სამუშაოს უუნარობის დამმოწმებელი ექიმებისთვის.<br>ზედამხედველობის ფარგლებში, ZUS-ის პრეზიდენტს გააჩნია აგრეთვე საქმის გადაცემის უფლება სამედიცინო კომისიისადმი, თუ შემოწმების შედეგად დადგინდება განსხვავება დამმოწმებელი ექიმის ან სამედიციო კომისიის მოწმობისა და ფაქტიურ მდგომარებობასა ან სამუშაოს უუნარობის დიაგნოზის წესებს შორის.<br>სამუშაოს უუანრობის პენისიის მინიჭების ZUS-ის  უარყოფითი გადაწყვეტილება ან სამუშაოს უუანრობის პენისიის მინიჭების დადებითი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, აგრეთვე სამუშაოს უუნარობის ხარისხის დადგენის ან ასეთი უუნარობის უქონლობის დადგენის ფარგლებში. სასამრთლოს შეუძლია სასამრთლო  ექსპერტების აზრს დაეყრდნოს. |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი | პუნქტი 414 (ამჟამად: 473): სისტემა არ გვაცნობებს სხვა მოთხოვნილებებს ვი ე.წ. შრომის | **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო:**<br>სოციალური სადაზღვევო ფონდიდან პენსიების და დახმარებების შესახებ კანონოთ მოცული გადაწყვეტილებები შევსებულია სხვა კანონებიდან |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | უუნაროზ, განსაკუთრებით: მხარს (i) არ უჭერს შრომის უნარს, ეს ნიშნავს არ უვსებს შემოსავალს პირებს, რომლებიც მუშაობენ მაგრამ, არ შეუძლიათ თავი ირჩინონ სამსახურით, (ii) არ ეხმარება ფუნქციონირების მაღალი ხარჯების დაფარვაში, რომლებიც გამომდინარეობს ინვალიდობიდან, რაზეც საუბარია 28 მუხ. 2 პუნქტ. c. საბოლოო ეფექტი - ბევრი ხალხი რომელსაც დახმარება სჭირდება რჩება მხარდაჭერის გარეშე. | გამომდინარე გადაწყვეტილებებით.<br>პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის შესახებ და შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა დასაქმების შესახებ კანონის საფუძველზე მოქმედებს ბევრი ინსტრუმენტი, რომლებიც მიზანია შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა ეფექტური პროფესიული რეაბილიტაცია და შრომის ბირჟაზე შესვლისა და შენარჩუნების ფარგლებში მხარდაჭერა. ეს მხარდაჭერა მიმართულია უშუალოდ არა მარტო უმუშევარი შეზღუდ. შესაძლ. მქონე და უმუშევარი სამსახურის მაძიებელი პირთა მიმართ (სწავლებების, სტაჟის, უფროსების პროფესიული მომზადების, საინტერნვენციო სამუშაოების და ასპირანტურის დაწყების შესაძლებლობა), არამედ აგრეთვე ფირმის გახსნით დაინტერესებული ან უკვე ფირმის მქონე შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა მიმართ (ერთჯერადი დახმარება ფირმის, სასოფლო საქმიანობის დაწყებისთვის ან  სოციალურ კოოპერატივში წვლილის შეტანისთვის, საქმიანობის გაგრძელებისთვის ბანკში აღებული  კრედიტის საპროცენტო გადასახადის 50%-ის დაფინანსება, ფირმის ან სასოფლო საქმიანობის მქონე შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთათვის სოციალური დაზღვევების ანარიცხის ანაზღაურება).<br>შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა პროფესიული გააქტიურების მხარდაჭერას ემსახურებიან იმ დამსაქმებლების მიმართ მიმართული ინსტრუმენტები, რომლებიც აპირებენ დაასაქმონ ან უკვე დაასაქმეს შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირები. მათ შეუძლიათ ისარგებლონ:<br>- თვიური დაფინანსებით შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირის ხელფასზე<br>- სამუშაო ადგილისა და სამუშაო შენობის, შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა მოთხოვნათათვის, შეთავსების ხარჯების დაბრუნება, აგრეთვე ადაპტაციის ან შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთათვის სამუშაოს შესრულების გამაადვილებელი და სამუშაო ადგილზე ფუნქციონირებისთვის მოწყობილობების შეძენის, შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთათვის პროგრამული უზრუნველყოფის და ლიცენზიების ხარჯების, აგრეთვე ტექნოლოგიური დამხმარე მოწყობილებებისა, ან მათი შეზღუდულობისგან გამომდინარე მოთხოვნილებების შეთავსებიდან გამომდინარე ხარჯების ანაზღაურება, |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | - შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირის სამუშაო ადგილის მოწყობის ხარჯების ანაზღაურება, ხუთმაგი საშუალო ხელფასის თანხამდე,<br>- შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა სწავლებების თანხების ანაზღაურება,<br>- იმ მუშაკების დასაქმების თვიური ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც ეხმარებიან შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირს მუშაობაში გარემოსთან ურთიერთობის გაადვილების მოქმედებების და აგრეთვე შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთის სამუშაო ადგილზე დამოუკიდებელი შესრულებაში მათთვის რთული და შეუძლებელი მოქმედებების  ფარგლებში ;<br>- PFRON-ის გადასახადებიდან გათავისუფლება.<br><br>სოციალური დაზღვევის მიზანია დაზღვეული პირებისთვის ფულადი დახმარებით უზრუნველყოფა სადაზღვევო რისკის გაჩენის შემთხვევაში (მაგ. მუშაობის უუნარობა, სიბერე, გარდაცვალება) და ამ სამუშაოდან შემოსავლის დაკარგვა. ეს დახმარება განკუთვნილია წინასწარ გადახდილი ანარიცხების საფუძველზე, რაც არის სოციალური დაზღვევის ფონდის საფუძველი.<br>სოციალური დაზღვევის ანაზღაურების თანხა, მათ შორის სამუშაოს უუნარობის სახელით დახმარებისა, განსაზღვრულია ობიექტიური წინაპირობების საფუძველზე, ერთნაირია ყველა დაზღვეული პირებისთვის, მოცემული პირის ინდივიდუალური ფინანსური სიტუაციის მიუხედავად.<br>სოციალური სადაზღვევო სისტემა ითვალისწინებს დაზღვეული პირების მუშაობის უნარიანობის მხარდაჭერას დახმარებითი და ინციდენტურ პრევენციის შექმნით.<br>სადაზღვევო სისტემის შესახებ კანონი ZUS-ს  დახმარების და ინციდენტურ პრევენციის ჩატარებას ავალდებულებს.<br>დახმარების პრევენცია მოიცავს:<br>- სამკურნალო რეაბილიტაციაზე გაგზავნას,<br>- სამუშაოს უუნარობის მიზეზების გამოკვლევას და ანალიზს და სხვა პრევენციულ მოქმედებებს. |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | ინციდენტური პრევენცია მოიცავს:<br>- სამუშაოს უნარიანობის შენარჩუნების მიზნით მოქმედებების დაფინანსებას პროფესიული აქტიურობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში,<br>- სამენიეცნიერო-კვლევითი ანალიზის და ნამუშევრების შეკვეთას,<br>- სამუშაოზე ინციდენტების და პროფესიული დაავადებების გამომწვევი საფრთხის და ამ საფრთხის აღმოფხვრის ხერხების შესახებ ცოდნის გავრცელებას,<br>- ჯანდაცვის გადასახადების ანაზრაურებას სტომატოლოგიის და დაცვითი აცრების ფარგლებში, სამედიცინო გამოკვლევების და სამკურნალო პროდუქტების ხარჯების დაბრუნებას.<br><br>სამუშაოზე ინციდენტების და პროფესიული დაავადებების სოციალური დაზღვევის შესახებ კანონი ითვალისწინების ZUS-ის მიერ ჩატარებული პრევენციულ მოქმედებებს. |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი | პუნქტი 414 (ამჟამად: 473): სამსახურის დაწყება ნიშნავ სამუშაო უნარიანობას და პენსიაზე უფლების ჩამორთმევას - წარმოიქმნება დახმარების მახე: ერთის მხრივ სისტემა შშმპ პრობესიულ პასიურობაში აგდებს, სიღარიბეშ და საზოგადოებიდან გარიყავს, მეორეს მხრივ კი თავაზობს პენსიას, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს სახელმწიფო ბუჯეტს და ართმევს უფლებას სამუშაოდან შემოსავლის და სოციაური სარგებლობებს. | **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო:**<br>სამუშაოს უუნარიანობის სახელით დახმარების მიმღები პირის მიერ შემოსავლიანი სამსახურის დაწყება ყოველთვის არ ნიშნავს დახმარების შეჩერებას ან გაუქმებას.<br>სამუშაოს უუნარიანობის დახმარების შეჩერება ან მისი შემცირება, სოციალური ვალდებულების საქმიანობიდან გამომდინარე, შემოსავლების გარკვეული დონის მიღწევის მიზეზით, გათვალისწინებულია სოციალური სადაზღვევო ფონდის მიერ გაცემული პენსიების და დახმარებების შესახებ კანონში და იწვევს მხოლოდ დახმარების გაცემის დროებით შეჩერებას, იმ პერიოდში, როდესაც კანონში ნახსენები შემოსავლის დაშვებული საზღვრები არის გადამეტებული. სამუშაოს უუნარობის დახმარების გაცემის შეჩერება, ხდება მაშინ, როდესაც ამ დახმარებისადმი უფლება იცვლება ექსტერპი ექიმის, სამედიცინო კომისიის ან სასამრთლოს გადაწყვეტილების მიერ, სამუშაოს უნარიანობის დადგენის შედეგად. |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| პენსიონერების და შშმ პირების პოლონური ასოციაციია | პუნქტი 418-421 (ამჟამად: 479-483): ინზორმაციის არარსებობა, რომ საოჯახო დახმარების შესახებ კანონის ცვლილების საფუძველზე 2013 წ. 1 ივლისიდან შშმპ მეურვეს ჩამოერთვა მზრუნველობის დახმარება, ეს ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა კონსტიტუციასთან შეუთანხმებელად. | **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო:**<br>პუნქტში. 419-421 (ამჟამდ 480-483) შეტანილ იქნა ახალი ჩანაწერი. |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი | პუნქტი 419 (ამჟამად: 480): დახმარების დღევანდელი მექანიზმი ამლიერებს დახმარების "ხაფანგს" - გამორიცხავს შშმპ მეურვეებს შრომის ბაზრიდან. | **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო:**<br>საოჯახო დახმარებების შესახებ კანონის თანახმად, მოვლითი დახმარების მნიშვნელობაა, შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირის მომვლელისთვის, შეზღუდ. შესაძლ. მქონე ოჯახის წევრის მოვლის მიზნით სამუშაოს ან სხვა შემოსავლიანი საქმიანობის დაკარგვის ნაწილობრივი ანაზღაურება. ეს განსაზღვრავს ძირთად პირობას, რომელიც უნდა შეასრულოს მოვლითი დახმარების მიმმართველმა პირმა - შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირზე მოვლის აუცილებლობის მიზეზით გამოწვეული პროფესიული აქტიურობის უქონლობა. არ მიმდინარების სამუშაოები პროფესიულად აქტიური პირების მიერ ამ დახმარების მიღების მიმართულებით. |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი | პუნქტი 422 (ამჟამად: 484): სოციალური პენსიის შესახობ კანონის ნოველიზაციამ 2011 წლიდან მოხსნა მავნე დებულებები, რომლებიც აჩერებდნენ პენსიას რაიმე სამუშაოს დაცყებისთანავე, მაგრამ დღესაც რაიმე სამუშაოს დაწყებამ შეიძლება გემოიწვიოს პონსიაზე უფლების დაკარგვა, რომელიც | **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო:**<br>სოციალური დახმარება ეკუთვნის მუშაობისთვის სრულ უუნარო სრულწლოვანს, ორგანიზმის ფუნქციონირების დარღვევის გამო, რომელიც გაჩნდა 18 წლამდე, და თუ იგი გაჩნდა სკოლაში ან უმაღლესში სწავლის დროს - 25 წლის ასაკამდე, აპირანტურაზე ან სამეცნიერო კანდიდატის სწავლის პერიოდში. დახმარება შეიძლება იყოს მუდმივი ან განკუთვნილი განსაზღვრულ დროის პერიოდისთვის. მიუხდავად იმისა, რომ სოციალური დახმარება მინიჭებულია სამუშაოს სრული უუნარობის გამო, არსებობს მისი შეერთების შესაძლებლობა სხვა შემოსავლებთან. მხოლოდ თვიური ხელფასის 70%-ზე მეტი შემოსავლის თანხის მიღწევის შემთხვევაში, დახმარება არის შეჩერებული. |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | აძლიერებს დახმარების "მახეს" მოვლენას და პენსიონერებს ტოვებს სამუშაო ბაზარს გარეთ. | საშუალო თვიური ხელფასი 2013 წლის IV კვარტალში შეადგენდა 3.823,22 ზლ, რაც ნიშნავს, რომ დახმარებაზე უფლება შეჩერებული იქნებოდა შემოსავლის 2676,25 ზლოტის თანხის მიღწევისას. ესეთი შეფასება, რომ სოციალური დახმარების შეჩერების წინაშე შიში, შეზღუდ. შესაძლ მქონე პირის მიერ სამსახურის დაწყებისას, ათავსებს ამ პირებს შრომის ბირჟის გარეთ, გამოდის უსაფუძვლო. |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი | პუნქტი 424 (ამჟამად: 486): შშმ მგზავრებისთვის შეღავათებს ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებენ კერძე სატრანსპორტო ფირმები. ამა ხელს უწყობს: (i) ამ წესების არმოთხოვნა, (ii) ბიუროკრატია და შეღავათების ანაზღაურება გვიან ვადაში. | **ინფრასტრუქტურის და განვითარების სამინისტრო:**<br>საგზაო ტრანსპორტის შესახებ კანონის თანმახმად, ავტოსატრანსპორტო გადამყვანს, რომელიც აწარმოებს რეგულარულ სამგზავრო მარშრუტებს, უნდა ჰქონდეს რეგულარულ მარშრუტებზე ნებართვა. გარდა ამისა, გადამყვანი ვალდებულია გაითვალისწინოს გარკვეულ კანონებში განსაზღვრული მგზავრების უფლებები შეღავათიან მგზავრობის თაობაზე. აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველი რეგულარული სამგზავრო მარშრუტების შემსრულებელი გადამყვანი ვალდებულია კანონში განსაზღვრული პირობები შეასრულოს, რის საფუძლვეზეც ეს ნებართვა იყო გაცემული.<br>გადამყვანი, რომელსაც შეტანილი აქვს განცხადება ეროვნული ავტოსატრანსპორტო  რეგულარული სამგზავრო მარშრუტების შესრულების ნებართვის მისაღებად, ვალდებულია ამ განცხადებას დანართოს სამგზავრო ფასების ნუსხა. ეს ნუსხა უნდა იყოს გამოქვეყნებული საჯაროდ, სადგურის სალაროებთან და ყოველ ავტობუსთან, რომელიც ასრულებს რეგულარულ სამგზავრო მარშრუტებს, თან  ნუსხა უნდა შეიცავდეს სხვადასხვა კანონებში განსაზღვულ შეღავათიან ბილეთების ფასებს. შესაბამისი პირისთვის შეღავათიანი ბილეთის გაყოდვაზე უარისას ჯარიმა შეიძლება იყოს რეგულარულ სამგზავრო მარშრუტებზე ნებართვის ჩამორთმევა იმ პირობების დარღვევის ან შეცვლის მიზეზით, რომლებზე დაყრდნობით თანხმობა იყო გაცემული, იმის ჩათვლით, რომ გადასახადების ნუსხა, როგორც ნებართვის მიღების განცხადების დანართი, არის ეს ერთერთი პირობა.<br>გადამყვანის მიერ, საჯარო ტრანსპორტის საშუალებებით გადაადგილებისას შეღავათიანი უფლებების შეუსრულებლობის შემთხვევებთან დაკავშირებული სიგნალები მიმართული უნდა იყოს იმ ორგანოში, რომელმაც გასცა ეს ნებართვა. მოქმედი წესები საშუალებას იძლევიან შეღავათიანი მგზავრობის უფლების მქონე |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა უფლებების აღსრულებას, ამ სფეროში სათანადო ორგანოებში მიმართული სიგნალები კი, იქნებოდა მოქმედებები, რომლების საშუალებით შეიძლებოდა არაპატიოსანი გადამყვანების აღმოფხვრა საგზაო ტრანსპორტის ბირჟაზე.<br>მგზავრების განსაზღვრული ჯგუფებისთვის განკუთვნილი მგზავრობის შეღავათების შესახებ ინფრომაცია ხელმისაწვდომია უპირველეს ყოვლისა საყოველთაოდ მოქმედ კანონებში. გარდა ამისა, ტრანსპორტის შესახებ კანონის თანახმად, გადამყვანი ვალდებულია საჯაროდ გამოაქვეყნოს, ჩვეულებრივი გზებით, მის მიერ დაწესებული ტარიფები და ფასები, და აგრეთვე ინფორმაცია მის მიერ გამოყენებული შეღავათების შესახებ. გადამყვანი აგრეთვე ვალდებულია დაინტერესებული პირი უფასოდ ჩაახედოს გადაყვანის წესებში.<br>ინფრასტრუქტურის და განვითარების სამინისტრო არ ატარებს სამუშაოებს შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთათვის განკუთვნილი მგზავრობის შეღავათების შესახებ ცოდნის გავრცელების მიზნით,რადგან შეღავათების განსაზღვრა არ შედის მის კომპეტენციაში. |
| ანტიდისკრიმინაციუ ლი კანონის პოლონური საზოგადოება და ფონდი TUS ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის ფონდი | პუნქტი 430 (ამჟ: 494): საარჩევნო კოდექსის სტატ. 429 §1 პუნქ. 6 ითვალისწინებს ვუიტის მანდატის გაუქმებას სამუშაოს შესრულების უუნარობის ან დამოუკიდებლად ფუნქციონირების დადგენის შედეგად - საკითხი წარდგენილია საკონსტიტუციო ტრიბუნალში. სამოქალაქო უფლებათა სრულუფლებიანი წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოქმედი რეგულაცია არ ეთანხმება საჯარო სამსახურებისადმი თანასწორი | **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო:**<br>23 იანვრის 2014 წ., განაჩენში საკონსტიტუციო ტრიბუნალმა დაადგინა, რომ საამომრჩევლო კოდექსის კანონის სტატ. 492, პარ. 1, პუნქტი 6 (ვუიტის მანდატის მიღების შემდეგ გაცემული სამუშაოს უუნარობის ან დამოუკიდებლად არსებობის უუნარობის დადგენის გავლენის  შესახებ) შეესაბამება სტატ 60-ს პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის სტატ 31-ის მე-3 ქვეპუნქტს და დაადგინა საქმის გაუქმება დანარჩენ სფეროებში. ამავე დროს, საკონსტიტუციო ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ აქ შეფასებულ იურიდიულ რეგულაციას აქვს გარკვეული ლეგისლაციური ნაკლები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას, მაგრამ საჭიროა მათი ამოშლა კანონმდებლის მიერ. ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციური ტრიბუნალმა მიიღო გადაწყვეტილება, თვით ამ საკითხის თაობაზე, ცალკე დადგენილებაში, პარლამენტი ყურადღებას მიაქცევს იურიდიულ უკმარისობების აღმოფხვრის აუცილებლობას, რაც საჭიროა იურიდიული სისტემის ერთობლივობისათვის. (*პრესაში განცხადება სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ*) |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ გარანტიას და მიჰყავს შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა დისკრიმინაციამდე. საარჩევნო კოდექსის წესები არ ეთანხმება კონვენციის სტატ. 29, ქვეპუნქ. a, რადგან არ აძლევენ საშუალებას შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირებს სრული მონაწილეობა მიიღონ საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში და ასეთ პირებს ვუიტის (მერის, ქალაქის პრეზიდენტის) თანამდებობაზე კანდიდატურის წაყენების შანსს ართმევენ. | **ადმინისტრაციის და ციფრიზაციის სამინისტრო:**<br>არჩევნების საკითხები არ ექვემდებარება სახელმწიფო ადმინისტრაციის მოქმედების ფარგლებს, არ მოიცავს არცერთ მათ განყოფილებას, როგორც აგრეთვე არ არის ნახსენები მინისტრთა საბჭოს მოქმედების ფარგლების და მის მომსახურე უწყებების მარეგულირებელ აქტებში.<br>საამომრჩევლო კოდექსის კანონის სტატ. 160 § 1 პუნქტი 8 -ს თანახმად, კოდექსის წესების განხორციელების ანალიზს ატარებს სახელმწიფო საარჩევნო კომისია, შემდგომ კი წარმოადგენს მათი შესაძლო ცვლილებების წინადადებებს. |
| ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის ფონდი | პუნქტი 433 (ამჟ.: 498): ადამიანის უფლებათა ევროპულმა ტრიბუნალმა სტრასბურგში, *Alajos Kiss p. Węgrom* საკითხთან დაკავშირებით (საჩივარი nr 38832/060) დაადგინა, რომ ყველა სრულიად ან ნაწილობრივ უუნარო პირებისთვის ხმის უფლების ავტომატური ჩამორთმევა არღვევევს სტანდარტს, რომელიც უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლების დაცვის შესახებ კონვენციის nr 1 პროტოკოლის 3 | **ეროვნული საამომრჩევლო ბიურო:**<br>პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, რეფერენდუმში მონაწილეობის მიღების და არჩევის უფლება არ ენიჭება პირებს, რომლებიც არიან სრულიად ქმედუუნარო სასამართლოს საბოლოო დადგენილებით. საამომრჩევლო კოდექსის თანახმად, არჩევის უფლება არ აქვს სრულიად ქმედუუნარო პირს სასამართლოს საბოლოო დადგენილებით.<br>სახელმწიფო საამომრჩევლო კომისიას არ გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივა და ვალდებულია არჩევნების ჩატარებისა მოქმედი საარჩევნო კანონის წესების საფუძველზე.<br>**ადმინისტრაციის და ციფრიზაციის სამინისტრო:**<br>არჩევნების საკითხები არ ექვემდებარება სახელმწიფო ადმინისტრაციის მოქმედების ფარგლებს, არ მოიცავს არცერთ მათ განყოფილებას, როგორც აგრეთვე ნახსენები არ არის მინისტრთა საბჭოს მოქმედების ფარგლების და მის მომსახურე უწყებების მარეგულირებელ აქტებში.<br>საამომრჩევლო კოდექსის კანონის სტატ. 160 § 1 პუნქტი 8 -ს თანახმად, კოდექსის |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
| --- | --- | --- |
| | სტატიაში, რომელიც ეხება საარჩევნო უფლებების განზოგადოებას. ქვეყნებს გააჩნიათ მინიჭების ზღვარი საკუთარი მოქალაქეების საარჩევნო უფლებების მინიჭებისას, მაგრამ ყველა ნაწილობრივ უუნარო პირთათვის არჩევნებში მონაწილეობის მიღების აბსოლუტური აკრძალვა არ შედის მინიჭების ამ ზღვარში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უუნარო პირთა ინტერესების და სახელმწიფოს ინტერესების პროპორციული აწონვა, რამაც უნდა გამოიწვიოს სათანადო სახსრების მიღება, რომლებიც გამოყენებული იქნება ინდივიდუალური შეფასებისთვის, თუ რომელ შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირებს შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება.<br>2013 წ. სექტემბერში გამოცემულ დასკვნაში nr CRPD/C/9/1/2010, კომიტეტმა შეზღუდული შესაძლ. მქონე პირთა უფლებების საკითხებში *Zsolt Bujdosó i inni p. Węgrom*-ის შესახებ დაადგინა, რომ დაუშვებელია | წესების განხორციელების ანალიზს ატარებს სახელმწიფო საარჩევნო კომისია, შემდგომ კი წარმოადგენს მათი შესაძლო ცვლილებების წინადადებებს.<br>**შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო:**<br>6 ოქტომბერს 2013 წ., შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრომ წარუდგინა სახელმწიფო საარჩევნო კომისიის თავჯდომარეს, ინფორმაცია Zsolt Bujdosó i inni p. Węgrom საკითხში გადაწყვეტილების შესახებ, ამავე დროს აღნიშნა:<br>– ინდივიდუალურ საკითხში გადაწყვეტილება და კომიტეტის მიერ წარდგენილი კონვენციის დადგენილების ინტერპრეტაცია არ არის სავალდებულო ქვეყნებისთვის,<br>– მოსალოდნელია, რომ ეროვნული ანგარიშგებების განხილვის პროცედურის განმავლობაში, ყურადღება მიექცევა შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა და ქმედუუნარო პირების საარჩევნო უფლებებს, გამოყენებული იქნება კომიტეტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, კონვენციის სტატ. 29 - შედეგად პოლონეთი შეიძლება მოხვდეს კრიტიკის ქვეშ ქმედუუნარო პირების საარჩევნო უფლებების შესახებ გადაწყვეტილებების თაობაზე,<br>– ანგარიშგების მომავალი დაცვის პერსპექტივაში, აუცილებელია კომიტეტის გადაწყვეტილების გაანალიზება და ამ საკითხში პოლონეთის პოზიციის შემუშავება. |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
| --- | --- | --- |
| | ინტელექტუალურად შეზღუდ, შესაძლ. მქონე პირთათვის ხმის უფლების ყოველგვარი შეზღუდვა. კომიტეტმა აღნიშნა, რომ კონვენციის 29 სტატია არ შეიცავს არავითარ დადგენილებებს, რომლებიც დაუშვებენ შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა ნებისმიერი ჯგუფის საარჩევნო უფლებების შეზღუდვას. კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ინტელექტუალური შეზღუდულობის საფუძველზე ხმის უფლების ჩამორთმევაც კი, დასაბუთებული პირადი შეფასებით, არის დაუშვებელი არათანაბარი მოპყრობა. საერთაშორისო ორგანოების ორივე გადაწყვეტილებიდან გამომდინარე სტანდარტები პოლონეთისთვის არის სავალდებულო, მაშასადამე აუცილებელია პოლონურ იურიდიულ სისტემაში რიგი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფენ უუნარო პირებს საარჩევნო უფლებების განხორციელებას. | |
| ჰელსინკის ადამიანის | პუნქტები 437 და 441 (ამჟ.: 502 და | **ადმინისტრაციის და ციფრიზაციის სამინისტრო:** |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| უფლებათა დაცვის ფონდი | 506): სამოქალაქო საკითხებში სრულუფლლებიანი წარმომადგენელი მრავალჯერ აღნიშნავდა საარჩევნო უბნების ხელმისაწვდომობის პრობლემებს. სამოქალაქო საკითხებში სრულუფლლებიანი წარმომადგენლის მიერ 2010 წ. ნოემბერში ჩატარებული გამოკვლევებიდან გამომდინარეობს, რომ შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა მოთხოვნილებებთან შეთავსებული უბნების სიებში შესული უბნების უმეტესობა (85%) არ ასრულებს ძირითად სტანდარტებს[6]. | საამომრჩევლო კოდექსის კანონის სტატ. 160 § 1 პუნქტი 8 -ს თანახმად, კოდექსის წესების განხორციელების ანალიზს ატარებს სახელმწიფო საარჩევნო კომისია, შემდგომ კი წარმოადგენს მათი შესაძლო ცვლილებების წინადადებებს.<br>**ეროვნული საამომრჩევლო ბიურო**:<br>სახელმწიფო საარჩევნო კომისიამ მიიღო სახალხო დამცველისგან ანგარიშგება 2011 წ., RPO-ს ოფისის მუშაკების მიერ, შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა მოთხოვნილებებთან შეთავსებული საოლქო საარჩევნო კომისიების უბნებში ჩატარებული კონტროლის შედეგების შესახებ. სახელმწიფო საარჩევნო კომისიამ გადასცა ინფორმაცია საარჩევნო კომისრებს, დასკვნების გაანალიზების, მათი გმინებისადმი გადაცემის და გმინების მიერ, ინფრასტრუქტურის მინისტრის შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა მოთხოვნილებებთან საოლქო საარჩევნო კომისიების უბნების შეთავსების მოთხოვნების აბსოლუტური შესრულების ვალდებულების შესახებ შეხსენების რეკომენდაციით.<br>სახელმწიფო საარჩევნო კომისიამ დააწესა, რომ მომავალი არჩევნების წინ, საარჩევნო კომისრებმა კიდევ ერთხელ მიაქციონ გმინების ყურადღება საარჩევნო უბნების შეთავსების საკითხებს და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების სწავლების დროს დაისვას შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირების მოთხოვნილებებთან შეთავსებული უბნების მოწყობის პრობლემატიკის და ამომრჩევლების ამ ჯგუფის უფლებების საკითხი. |
| ფონდი რეგიონული განვითარების ინსტიტუტი – პოლონეთის ყრუთა ასოციაცია | პუნქტი 441 (ამჟამად: 507): არ არის სავალდებულო საარჩევნო ინფორმაციის უზრუნველყოფა პოლონური ჟესტების ენით | **ადმინისტრაციის და ციფრიზაციის სამინისტრო:**<br>არჩევნების საკითხები არ ექვემდებარება სახელმწიფო ადმინისტრაციის მოქმედების ფარგლებს, არ მოიცავს არცერთ მათ განყოფილებას, როგორც აგრეთვე არ არის ნახსენები მინისტრთა საბჭოს მოქმედების ფარგლების და მის მომსახურე უწყებების მარეგულირებელ აქტებში.<br>საამომრჩევლო კოდექსის კანონის სტატ. 160 § 1 პუნქტი 8 -ს თანახმად, კოდექსის წესების განხორციელების ანალიზს ატარებს სახელმწიფო საარჩევნო კომისია, შემდგომ კი წარმოადგენს მათი შესაძლო ცვლილებების წინადადებებს.<br>**ეროვნული საამომრჩევლო ბიურო**: |

[6] http://wiadomosci.onet.pl/kraj/rpo-lokale-wyborcze-nie-dla-niepelnosprawnych/hvf7s

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
|---|---|---|
| | | არჩევნებთან დაკავშირებული ყოველი ინფორმაცია, ამაში საამომრჩევლო კომიტეტების შექმნის, კანდიდატების წარდგენის, ხმის მიცემაში მონაწილეობის პირობების, მათ შორის შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა, და საოლქო საარჩევნო კომისიების შენობების შესახებ, ხელმისაწვდომია სახელმწიფო საარჩევნო კომისიის ინტერნეტულ საიტზე www.pkw.gov.pl. გარდა ამისა, ყოველი არჩევნების დროს, ხელმისაწვდომია ჩატარებული არჩევნების ვიზუალიზაცია, რომელზეც წარმოდგენილია ყველა აუცულებელი ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები.<br>ურთიერთობაში სირთულეების მქონე პირებს, სახელმწიფო საარჩევნო კომისიასთან კავშირის საშუალება აქვთ ელექტრონული ფოსტით (e-mail)  და ფაქსით. არსებობს აგრეთვე კომისიასთან კავშირის შესაძლებლობა საჯარო ადმინისტრაციის მომსახურების ელექტრონული პლატფორმის საშუალებით.  ამ მომსახურებების შესახებ ინფორმაცია, ე.ი.: e-mail მისამართი და ფაქსის ნომერი ხელმისაწვდომია საჯარო ინფორმაციის ბიულეტინში, სახელმწიფო საარჩევნო კომისიის ინტერნეტულ საიტზე www.pkw.gov.pl. საარჩევნო კოდექსის კანონი უზრუნველყოფს ამომრჩევლებს, რომელთაც გააჩნიათ შეზღუდულობის დიდი ან ზომიერი ხარისხის შესახებ მოწმობა, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციისა და შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირთა დასაქმების შესახებ კანონის ფარგლებში, ხმის მიცემას კორესპონდენტულ სახით ან უფლებამოსილის საშუალებით.<br>ურთიერთობაში სირთულეების მქონე პირების კავშირი გარემოსთან, ხმის მიცემასთან დაკავშირებულ მოქმედებებისას, არ საჭიროებს სიტყვიერ ურთიერთობას. ამის გარდა, ჟესტების ენისა და სხვა სახის ურთიერთობის შესახებ კანონის წესების გარდა, საამომრჩევლო კოდექსიდან გამომდინარეობს, რომ შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირს, მისივე მოთხოვნით, ხმის მიცემაში შეიძლება დაეხმაროს სხვა პირი; ამ დახმარებას შეიძლება ჰქონდეს ტექნიკური ხასიათი; არ შეიძლება ეს იყოს მითითება ხმის მიცემაში ან ამომრჩევლის მაგივრად ხმის მიცემა. დაშვებულია, რომ შეზღუდ. შესაძლ. მქონე პირის თხოვნით, საარჩევნო კაბინაში იმყოფებოდეს დამხმარე პირი. მაგრამ სახელმწიფო საარჩევნო კომისიას არ გააჩნია ინფორმაცია იმ პირთა რაოდენობის შესახებ, რომლებმაც ისარგებლეს |

| ორგანიზაცია | შენიშვნები | კომენტარი, განმარტება |
| --- | --- | --- |
| | | ასეთი დახმარებით.<br>**შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო:**<br>ინფორმაცია შეტანილ იქნა ანგარიშგებაში (პუნქტები. 507-509) |